
Загальні дослідження цих ферментів виявили, що вони є відомими як харчові та медоносні. Вони є також відомими як харчові та медоносні.

Загальні дослідження цих ферментів виявили, що вони є відомими як харчові та медоносні.

Загальні дослідження цих ферментів виявили, що вони є відомими як харчові та медоносні.

Слід зазначити, що вони є відомими як харчові та медоносні.

Слід зазначити, що вони є відомими як харчові та медоносні.

Слід зазначити, що вони є відомими як харчові та медоносні.

(Рукописний текст, 4.12.1956)

### ДАСТУВАННЯ ДАСТУВАННЯ

1. Н. Г. Берим. Изменения активности некоторых ферментов при отравлении ГХДГ и ДДТ, ДАН СССР, т. 84, № 2, 1952.
2. И. В. Кожанчиков. К пониманию физиологического действия ДДТ на насекомых. Сборник раб. Ин-та прикл. энтом. и фитопатол., вып. 2, 1953.
3. Т. Н. Новицкая. Эффективность фосфорорганических препаратов против главных вредителей цитрусовых. Труды Института защиты растений АН ГССР, т. X, 1954.
4. М. Я. Теляковская. Патологические изменения в яичниках вредной черепашки, развивающейся под воздействием препарата ДДТ в активный период ее жизни, ДАН СССР, т. 10, № 4, 1955.
5. Д. М. Федотов и О. М. Бочарова. Действие препарата ДДТ и некоторых фосфорорганических инсектицидов на вредную черепашку *Eurygaster integriceps* puti. Академия наук СССР. Вредная черепашка, том III, 1955.
6. J. E. Cosida. Comparative enzymology of certain insect acetyl esterases in relation to poisoning by organophosphorus insecticides Biochem, J. 60, № 3, 1955.

## ზოოლოგია

### პ. ჰარმონიული

#### საზოღოსწორის გადამიშვილი მაკვობა თაგვებში

(წარმოადგინა საპატიო აკადემიკოსმა გ. ვორონინმა 28.6.1956)

თაგვების საკერძო ცხე და კვერცხსავალის ძაბრი კაფსულშია (*bursa ovarica*) მოთავსებული.

განაყოფიერებისათვის მზადყოფი კვერცხუჭრედი ირგვლივ ქსოვილები-საგან განთავისუფლების შემდეგ აღმოჩნდება არეში, რომელიც ნახევრად ბლანტ სითხეს შეიცავს [2]. ეს სითხე მიიღებს ღრუში გამოვარდნილ კვერცხუჭრედს და გაიყოლიებს მას კვერცხსავალის ვიწრო სადინარში.

ჩვენ მიერ დაუგენილი იყო, რომ დასვენების სტადიაში, როდესაც საკერძო ცხე დიდძალ აღრეულ ფოლიკულებს შეიცავს, კაფსულა უახლოვდება მას; მეუნაობის სტადიაში, როდესაც კვერცხუჭრედი მზად არის დატოვოს საკერძო ცხე, კაფსულის ღრუ სავსეა გამჭვირვალე სითხით. ამ ღროს კაფსულა გაუძიმულია და შესამჩნევადა წამოშევერილი სხეულის ღრუში; კაფსულის სიღრმეში მკაფიოდ მოჩანს საკერძოს.

თუ თაგვები, რომობიც ბიოციკლის ამ სტადიაში იმყოფებიან, ვაგინაში შევცვანთ ანტიბიოტიკ ბომაპინს, [1], ოვარიულ კათსულაში მყოფი სითხე ქრება, კაფსულის კედლები იჩუტება, საკერძხის გარშემო იქმნება „მშრალი“ არე.

ჩვენ გამოვმდინარეობდით ამ დაკვირვებებიდან, აგრეთვე ლიტერატურული მონაცემებიდან [3], როდესაც ვივარაუდეთ, რომ მდედრი ცხოველები, რომლებზედაც მოვახდენით ბომაპინით მოქმედებას მათი შეწყვილების რამდენიმდე საათის შემდეგ, სპერმას იქნინებრ კვერცხსავალის მაღალ გზებში და ვერ შეძლებენ კვერცხუჭრედების გამოყოფს ამ კვერცხუჭრედების მიმღები სეკრეტის უქონლობის გამო.

ჩვენ გვეგონა, რომ ასეთ პირობებში უნდა მოხდეს ინტრაფოლიკულური განაყოფიერება და ოვარიული მაკეობა.

სქესსრული მდედრი ცხოველები (22 მდედრი) მოთავსებული იყო მმჩებან. უკანასკნელი 48 საათის შემდეგ ამოვიკვანეთ; 11 მდედრს ვაგინაში შევუყვანეთ ბომაპინი 0,03 მგ<sup>3</sup> რაოდენობით თითო ცხოველზე.


ინექციები მომდევნო ორ დღეს გაგრძელდა. 3-დღიანი ინიციციების კურსი კვლავაც განმეორდა ორჯერ 4 დღის შრალედებით.

დანარჩენი 11 მდედრი ცხოველი კონტროლს ჭარმოადგენდა.

ცხოველები ორჯერად დაიყლა: ნაწილი 15 დღის შემდეგ, დარჩენილი საც-დელ ცხოველები კი მას შემდეგ, რაც პირველმა საკონტროლო თავეებმა დაყარეს წრუშუნები.

აღმოჩნდა, რომ 15 დღის შემდეგ დაკლული 4 საკონტროლო მდედრი შეიცავს სანაყოფებ ბუშტებს, რომლებიც მიღებულ იქნა, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, ნორმალური, თავებისათვის დამახასიათებელი ექსცენტრული იმპლანტაციის გზით.

საცდელი ჯგუფის 8 მდედრიდან 2-ს აღმოჩნდა საშვილოსნოსგარეშე მაკეობა, მაგრამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სანაყოფებ ბუშტები აღმოჩნდა არა საკვერცხეში, არამედ სეროზულ-კუნთოვან ტომარაში (სურ. 1).




სურ. 1. ლაბორატორიის თავეის საშვილოსნოს თეთრი რქის ხედი, როდესაც სანაყოფებ ბუშტები (X) იმპლანტირებულია სეროზულ-კუნთოვან ტომარაში

ანათლებზე დადგინდა, რომ საცდელი ცხოველების ჩანასახები, ისევე როგორც საკონტროლო ცხოველების ჩანასახები, იმყოფება ბლასტოცისტის სტადიაზე, რომლის კედლები ტროფობლასტად გადაიქცა და ნაწილობრივ ჩაიზარდა მის გარშემო ქსოვილებში, სადაც ჭარმოქმნებს ლრუბლისებრი შეე — სინტროფობლასტი, რომელშიაც ქორიონის გამონაზარდებია შესული (ნახ. 2).

საცდელი ჯგუფის ცხოველებიდან (რომლებიც უნდა გაკვეთილიყო იმ დროს, როდესაც საკონტროლო მდედრი ცხოველები დაყრიდენ შვილებს) 4 დღის შემდეგ დაიღუპა კიდევ ერთი, რომელსაც გაკვითის შემდეგ აღმოჩნდა

ისეთივე საშეილოსნოსგარეშე იმპლანტაცია. იმპლანტირებული ჩანასახები ჭარ-  
მოადგენდნენ უჭრედების ქაოტურ ელემენტებს და ჭელად მასას.



სურ 2

2—ლაბორატორიის თაგვის საშეილოსნოს სიგრძევი განაჭერი ვოლფის სხეულის ნარჩენის არეში, სადაც სანაყოფებ ბუზტია (X) იმპლანტირებული გადიდ. ობ. 8; ოკ. 10; 3—ანათალი ლაბორატორიული თაგვის საკერტების არეში. ჩანს ეპითელიური მილაკების (X) ბაზუ, გადიდ. ობ. 8, ოკ. 7; 4—სიგრძივი ანათალი ლაბორატორიული თაგვის საშეილოსნოსთან მყოფი თაგვისუფალ არის მიღმოში (X). გადიდ. ობ. 8; ოკ. 7; 5—იმ ლაბორატორიული თაგვის საშეილოსნოს განვითარებული ჯირკელოვანი კრისტები (X). გადიდ. ობ. 8; ოკ. 15

დარჩენილი ორი საცდელი თაგვი დაიკლა საკონტროლო ცხოველების ნორ-  
მალური მშობიარობის შემდეგ. დაკლულ ცხოველებს მაკეობის არავითარი კვა-  
ლი არ აღმოაჩნდა.

### მიღებული შედეგები და დასკვნები

წინამდებარე გამოკვლევებით დადგენილია, რომ ანტიბიოტიკ ბომაპინის ლაბორატორიული თაგვების ვაგინაში შეყვანით შეიძლება მიღებულ იქნეს საშეილოსნოსგარეშე მაკეობა. ვინაიდან ბომაპინი სასიკვდილო მოქმედებს სპერმატოზოიდებზე, ბუნებრივია ვითიქროთ, რომ კვერცხსავალში იგი არ შე-

სულა. აღგილი ჰქონდა საკვერცხესა და კაფსულაზე ნერვულ-რეფლექსურ მოქმედებას. არ არის გამორიცხული აგრეთვე ჰქონდა მოქმედებას შესაძლებლობაც ბომაპინის იმ ნაწილის მხრიდან, რომელიც შედის სისხლში ვაგინის ლორწოვანი გარსის გავლით.

როგორ შეიძლება მიღებულიყო ჩანასახების ამგარი უცნაური იმპლანტაცია?

საკვერცხის შესავალში (*hilus*) თაგვებს კარგად ეჭვთ განვითარებული ეპითელური მილაკების (*rete ovarii*) ქსელი (სურ. 2). ამ მილაკების სადინარები და დაკავშირებულია საშვილოსნოს ოვოთან; აქ ეს მილაკები იქლავნებიან და ერთად წარიმართებიან საშვილოსნოს სიგრძივ ვოლფის სხეულის ნარჩენებთან ერთად, რომელიც მილაკებისაგან შედგება თავის მხრივ (სურ. 2).

თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ საკვერცხის ტვინოვანი ნივთიერების სტრომა და საკვერცხის შესავალი ნაწილი აღჭურვილია კუნთოვანი ბოკეობით, აღვილად მისახვედრია იქნება, რომ იგივე მექანიზმი, რომელიც მოქმედებს სანაყოფე კვერცხების კვერცხსავალში მოძრაობისას, უნდა უზრუნველყოფდეს მათ მოძრაობას საშვილოსნოსქვედა თავისუფალი არის მიმართულებითაც.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ასეთი თაგვების სანაყოფე ბუშტებისაგან თავისუფალი საშვილოსნო აქტიურ მდგომარეობაში იმყოფება. მას აქვს ძლიერ განვითარებული ჯირკვლოვანი კრიპტებით აღჭურვილი ლორწოვანი გარსი (სურ. 2s).

შევაჭამებთ რა ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ლაბორატორიულ თაგვებში შეიძლება ჰქონდეს აღგილი ინტრაფოლიკულურ განაყოფერებას;
2. ბომაპინის ვაგინაში შეეყანისას სანაყოფე კვერცხუჭრედებმა შესაძლებელია შეარწიოს საშვილოსნოს ქვედა ვოლფის სხეულის ნარჩენის არეს, სადაც კიდეც შეიძლება მოხდეს მათი ინპლანტაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქტორის მოუვიდა 27.6.1956)

#### დამოუბნებული ლიტერატურა

1. II. C. Чантуришвили, T. Г. Натадзе. О природных веществах, тормозящих рост, и их применении в экспериментальной терапии опухолей, Тбилиси, 1955.
2. T. T. Flynn and S. P. Hill. The development of the monotremata; Part IV. Growth of the ovarian ovum. Maturation, fertilisation and early clavage. Trans. Zool. Soc. London, 24, part 6, 1939.
3. F. Strauss. Das Problem des Befruchtungsortes des Säugetierelies. Bull. Schweiz. Acad. med. wiss., 10, № 3—4, 1954.



## პარაზიტოლოგია

### 6. როსტომები

შელი, ბოსტომეულისა და მფენილის მიზანებობა  
ჰილოითოზების გავრცელებაზი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 11.10.1956)

რიგი ჰელმინთოზების გავრცელება დაკავშირებულია გარემოს სანიტარულ მდგრადირებასთან. ჰელმინთოზების გავრცელებაში გარკვეული როლი ენიჭება წყალს, ბოსტნეულსა და მწვანილს.

ჰელმინთოზების ინგაზია ხდება ჰელმინთების კვერცხებით გაბინძურებული სასმელი წყლის ხმარებისას, ბანაობისას, საკვებში ბოსტნეულისა და მწვანილის ხმარებისას, რომლებიც ირწყვებოდა გაბინძურებული წყლით.

ჰელმინთების გავრცელებაში წყლის როლს აღნიშნავენ რიგი ავტორები [1, 2, 3, 4, 5, 6].

განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ღია წყალსატევების წყალი, რადგან ისინი აღილად ბინძურდებიან. მათი გაბინძურების მთავარ წყაროს ნახმარი წყალი წარმოადგენს.

წყალსაცავების გაბინძურება ხდება აგრეთვი ნაგვის ჩაყრისას, წვიმითა და გამდნარი თოვლით.

აღწერილია შემთხვევები, როდესაც ჰელმინთების კვერცხები აღმოჩენილი იქნა წყალსადენის, ჭის, მდინარის, ტბების, ზღვისა და საწყავავი არხების წყალში. წყალში მოხვედრილი ჰელმინთების კვერცხები გარკვეული ღრრის მანძილზე ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას, ხოლო ხელშემწყობი პირობების (ტემპერატურა, უანგბადი). შემთხვევაში ვითარდებიან ინგაზის სტადიამდე.

ჩვენ ჩავტარეთ წყლის ჰელმინთოლოგიურ გამოკვლევა (სასმელი, მდინარისა და სარწყავი არხების წყლის), კასპის რაიონში. სასმელი წყლის გაბინძურება ჰელმინთების კვერცხებით უმნიშვნელო იყო (საშუალო 1 ლ წყალშე 0,03 კვერცხი). უმრავლეს სოფლებში არის წყალსადენები, რაც ცოტად თუ ბევრად იცავს წყალს გაბინძურებისაგან. კავთისხევის წყალსადენის წყალში აღმოჩნდა ასკარიდის კვერცხები (5 ლ წყალშე—1 ასკარიდის კვერცხი) და აგრეთვე კასპში რკანიგზის წყალსადენის წყალშაც (10 ლ—1 ასკარიდის კვერცხი). წყალსადენის წყალი შეიძლება გაბინძურდეს ნიადგილან, მილიკ დაზინების შემთხვევაში, წყალსადენის სათავე დანადგარებზე, სადაც არ არის დამ-

ცველი ზონა და არ ხდება წყლის დალექვა. შეგამოწმეთ აგრძელე ს. მირიანის 2 ჭის სასმელი წყალი. ერთ-ერთი ჭის 5 ლ წყალში აღმოჩნდა ასკარიდას 2 კვერცხი, რაც შეადგენს 0,4—1 ლ ჭის წყალში. ჰელმინთების კვერცხები ჭაში მოხვდება მტვრის საშუალებით, ვინაიდან ჭებს არა აქვთ სახურავები და ამავე დროს კილა მოქალაქე წყალს იღებს თავისი კურტლით, რომელიც წინასწარ არ ირჩებება.

მდინარე ლენტურის წყლის შემოწმება მოხდა კასპში და სოფ. ქვემო ჭალაში. კასპში 1 ლ წყალში საშუალოდ მოდიოდა 2 ჰელმინთის კვერცხი, ს. ქვემო ჭალაში კი 3,7. კასპის ქვემო მიმართულებით წყლის გაბინძურება თანდათანობით მცირდება, რაც აისხება მდინარის ფსკერზე ჰელმინთების კვერცხების დალექვით. ეს უკანასკნელი მტკიცდება ფსკერიდან აღებული წყლას შემოწმებით.

მდინარის წყალში აღმოჩნდნილ იქნა 4 სახობის ჰელმინთის კვერცხები: *Ascaris lumbricoides* (85,4%), *Trichocephalus trichiurus* (11,4%), *Taeniidae* (2,9%), *Fasciola hepatica* (0,3%).

კასპში მდინარის წყლის შემოწმება ხდებოდა სამ ადგილას: კასპში მდინარის ტესვლის აღვილას, მიმდინარეობის შუა აღვილას და კასპიდან მისი გასვლის ადგილას. კასპიდან გამოსვლისთანვე მდ. ლენტურა უერთდება მდ. მტკირს. ამის გამო შეუძლებელია დაკვირვება, თუ სად ხდება მისი თვითგაწმენა. კასპში შესვლისას 1ლ წყალშე საშუალოდ მოდის 0,5 კვერცხი, შუა ადგილას—1,7, ხოლო გამოსვლის ადგილას—2,6.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, გაინძურება ყველაზე ნაკლებია კასპში შესვლის ადგილას. კასპში მიმდინარეობისას გაბინძურება მატულობს და მაქსიმუმს აღწევს კასპიდან გამოსვლისას. ჰელმინთების კვერცხები მდ. ლენტურში ხდება მასში ნაგვის გადაყრით, წყიმის, გამზნარი თოვლისა და საპირფარემოების, ნახმარი წყლისა და სხვა საშუალებით. კასპში ქვემო ლინების ადგილას მდინარე ბინძურდება საავადმყოფოში ნახმარი წყლით, რომელიც მდინარეში ჩასხმადე არ იშმინდება. 1 ლ ნახმარ წყალში საშუალოდ მოდის ჰელმინთების 84 კვერცხი.

წყლის შემოწმება ხდებოდა სეზონურად, მონაცემები მოცემულია 1 ცხრილში.

#### ცხრილი 1

რიგი №	წლის დრო	შემოწმებული წყლის რაოდენობა ლიტ- რიბით	აღმოჩენილი ჰელმინთ. კვერცხების რაოდენობა				1 ლ კვერცხ- რაოდ.
			A. l.	Tr. fr.	Taen.	Fasc. hep	
განაფეული	73	65	54	10	1	—	0,9
საფეული	33	88	74	11	2	1	2,7
შემოდგენის	26	78	72	2	4	—	3,0
ზამთარი	30	85	70	13	2	—	2,8
ს უ ლ	162	316	270	36	9	1	2

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე ნაკლები გაბინძურებაა გაზაფხულზე. ეს იმით აიხსნება, რომ გაზაფხულზე მღინარის წყალი ძლიერ მატულობს, რის შედეგად ადგილი—აქვს გაბინძურებისა და მათ შორის ჰელმინთების კვერცხების ძლიერ გაზაფხულის; წყალში მათი კონცენტრაცია ძლიერ მცირდება, რაც იძლევა მცირე გაბინძურების სურათს. ჰელმინთების კვერცხებით წყლის გაბინძურების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს იძლევა ზაფხული. ზაფხულის დასაწყისში, როცა მღინარეში წყალი ჯერ კიდევ ბევრია, კვერცხებით გაბინძურების მაჩვენებელი უმნიშვნელო (1,4 კვერცხი 1 ლ-ზე).

ზაფხულის შუა პერიოდში წყლის რაოდენობა მკვეთრად მცირდება სარწყავებში წყლის გაზაფხულის გამო. ამ პერიოდში წყლის შემოწმებამ გვაჩვენა, რომ ჰელმინთების კვერცხების რაოდენობა მკვეთრად მატულობს, რაც აიხსნება ზათ კონცენტრაციის მომატებით. ამ დროს 1 ლ წყალზე მოდის ჰელმინთების 5,5 კვერცხი.

წყალში ჰელმინთების კვერცხების რაოდენობის მომატება ზამთრისა და შემოდგომის პერიოდში აიხსნება მოსახლეობის დაავადების მომატებით. ეს ფაქტი, რასავირველია, მოწმობს ჰელმინთების კვერცხების რაოდენობის მომატებას გარემოში.

მდინარე ლეხეურადან წყალი გაყავთ სარწყავ სისტემაში. ჩვენ მიერ სარწყავი არხებიდან შემოწმებული იყო 59 ლიტრი წყალი. ოღონიშნდა 195 კვერცხი სხვადასხვა ჰელმინთებისა, რაც უფროს 3,8 კვერცხს 1 ლ წყალზე. სარწყავ არხებში წყლის გაბინძურება აღმარტიბა მდინარე ლეხეურის გაბინძურებას. ეს იმით აიხსნება, რომ სარწყავი არხები ქუჩებში, საცხოვრებელი სახლების ეზოებში, ბაღებში, ბოსტნებში გავლისას უფრო მეტად ბინძურდება. წყლის შემოწმება სარწყავ არხებში ხდებოდა სეზონურად (ცხრილი 2).

ცხრილი 2  
სარწყავი არხების წყლის სეზონური შემოწმების მომაცემები

რაოდენობა	წლის დრო	შემოწმ. წყლის რაოდენობა	აღმოჩ. კვერცხ. რაოდენობა	Ascar. lumbr.	Trich. trich.	Taen.	Enter. vermic.	1 ლ კვერცხის რაოდ.
1 გაზაფხული	15	34	27	6	1	—	—	2,3
2 ზაფხული	25	75	62	11	2	—	—	3,0
3 შემოდგომა	9	36	30	5	—	1	—	4,0
4 ზამთარი	10	50	39	9	2	—	—	5,0
ს უ ლ		59	195	158	31	5	1	3,3

კველაზე მეტ გაბინძურებას კველებით ზამთარში, რაც აიხსნება უმთავრესად არხებში წყლის მკვეთრი შემოწმებით: სარწყავი არხები ზამთარში მდგრადი წყლის შეალსაცავების წარმოადგენს. წყლის რაოდენობის შემცირების ხარჯების მატულობს მასში ჰელმინთების კვერცხების კონცენტრაცია. გარდა ამისა, ზამ-

თარში სარწყავი არხებში წყლის გაბინძურება ხდება ნაგვის ჩატრით. უნდა ალი-ნიშნოს, რომ სარწყავი არხის გაბინძურებას ზამთრის პერიოდში არა აქვს ეპი-ლემიოლოგიური მნიშვნელობა, რაღაც ამ დროს არ ხდება ბოსტნეულისა და მწვანილის მორწყევა, ასევე მოსახლეობას არა აქვს კავშირი ამ წყალთან.

ჰელმინთების კვერცხების მოხვედრა არხში შესაძლებელია აგრეთვე წვი-მით, გამდნარი თოვლით, მტკრით, ასევე ბანაობისა და სარეცხის რეცხვის საშუ-ალებით. არხის წყლების გაბინძურებაში გარევეულ როლს ასრულებს აგრეთვე მის ზემოთ მდებარე სოფლები, მაგ., ს. მეტეხი. ჰელმინთების კვერცხები, რომ-ლებიც მოხვედრა არხის წყალში მის ზემო ადგილას, სოფ. ახალქალაქში ვერ ა-შრებს დალექებას სწრაფი დინებისა და მანძილის სიმცირის გამო. ს. მეტეხში სარწყავი არხის გაბინძურება მეტია, ვიდრე ს. ახალქალაქში (4, 8 და 3,1 კვერც-ხი 1 ლ წყალშე).

ჩატრებული გამოკვლევებიდან ჩანს, რომ კასპის რაიონში ჰელმინთების კვერცხებით გაბინძურებულია როგორც მდინარის, ისე სარწყავი არხების წყალი. მოსახლეობის დაავადება შესაძლებელია წყალთან კონტაქტით, მორ-წყვით, სარეცხისა და ჭურჭლის რეცხვით, ბანით. აღვილად ავადდებიან ბავ-შვები, რომლებიც ზაფხულის პერიოდში მეტ დროს ტარებენ ამ არხებთან, ბა-ნაობენ მასში, ზოგჯერ სვამენ კიდევაც ამ წყალს. გაბინძურებული წყლით მორ-წყვისას ხდება ბოსტნეულისა და მწვანილის გაბინძურება. ჩატრადა 63,55 კგ სხვადასხვა ბოსტნეულისა და მწვანილის გამოკვლევა, აღმოჩნდა, რომ 1 კგ-ზე საშუალოდ მოდის ჰელმინთების 3,2 კვერცხი. დაგენილია, რომ ყველაზე მე-ტად ჰელმინთების კვერცხებით ბოსტნეული და მწვანილი გაბინძურებულია ს. კვემო კალაში (6,6 კვერცხი 1 კგ), სადაც სარწყავი წყალიც უფრო მეტად არის გაბინძურებული, ვიდრე სხვა სოფლებში (7, 1 კვერცხი 1 ლ წყალშე). ყველაზე ნაკლები გაბინძურება ბოსტნეულისა და მწვანილისა აღინიშნება სოფ. მირიანში (0,8—1 კგ-ზე), სადაც სარწყავად გამოყენებულია მდ. მტკრის წყალი — იქ ჰელმინთების კვერცხები არ აღმოჩნდა. სარწყავი წყლების მნიშვნელობა ბოსტნეულისა და მწვანილის გაბინძურებაში დასტურდება იმითაც, რომ ყვე-ლაზე მეტად გაბინძურებული აღმოჩნდა ნარწყავი ბოსტნეული და მწვანილი. დაგენილ იქნა, რომ 1 კგ ბოსტნეულსა და მწვანილზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სარწყავ წყალთან, მოდის საშუალოდ ჰელმინთების 1 კვერც-ხი, ხოლო 1 კგ ამ წყალთან დაკავშირებულ ბოსტნეულსა და მწვანილზე — 3,8 კვერცხი. სხვადასხვა ბოსტნეულისა და მწვანილის გამოკვლევის მონაცემები მოცემულია მე-3 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად ჰელმინთების კვერცხით გა-ბინძურებულია სტაფილოს ფოთოლი, ოხახუში, წიწმატი და სხვადასხვა მწვა-ნილი. კვლებზე ისინი ეხებიან სარწყავ წყალს, როთაც აისხნება მათი გაბინ-ძურება. მათზე ჰელმინთების კვერცხების დაბუდებას ხელს უწყობს აგრეთვე ფოთლების აგებულება. პამიღორების გაბინძურება კვერცხებით უმნიშვნელო და დამოკიდებულია იმზე, პამიღორები ჭირდება თუ უშუალოდ მიწაზე, ეზება პამიღორი სარწყავ წყალს თუ არა. პამიღორი ყველაზე მეტად გაბინძურებუ-ლია სოფ. კავთისხევში (6,5 კვერცხი 1 კგ-ზე) და სოფ. კვემო კალაში (6—1 კგ-

## ცხრილი 3

ნომ. რიცხვი	ბოსტნეულ. და მწვანილი	გამოკვლეულის რაოდი	კარისტუმის რაოდი	აღმინი. მინ. კვერც- ულის რაოდ ფინანსების ფინანსების რაოდი	სიცოცხლის უნივ. რაოდ ფინანსების რაოდი	Ascaris lum- bric	Trichoc. trich.	Taeniidae	Hymen. dimin.	კლიმატურის რაოდის 1 კვ-ზე
1	პამიდორი	13	26	22	26	—	—	—	—	2
2	წიწიმატი სხვაგასასწავლის მწვანილი	11,7	75	64	63	11	1	—	—	6,4
3	—	3,6	15	11	14	—	—	1	—	4,3
4	ორაზუში	5,4	41	33	37	3	1	—	—	7,6
5	ბახვი	7,25	7	4	5	2	—	—	—	1,0
6	კიტრი	6	7	5	6	1	—	—	—	1,3
7	სტაფილი	5	12	8	11	1	—	—	—	2,4
8	(ფოთ- ლები)	2	18	16	13	5	—	—	—	9,0
9	კომბოსტო	1	3	2	3	—	—	—	—	3,0
10	თვის ბოლოვე	8,6	2	2	2	—	—	—	—	0,2
ს უ ლ		63,55	206	167	180	23	2	1	—	3,2

ზე). პქ გამოკვლეული პამიდორი ჭიგოზე არ იყო, სხვა სოფლებში კი ჭიგოზე იყო აკვანილი, როთაც ასეს ნება მათი ნაკლები გაბინძურება. კასპში 4 კგ პამიდორის გამოკვლევისას ჰელმინთების კვერცხები არ აღმოჩნდა. უჭიგოვა გაზრდილი პამიდორი ბინძურდება არა მარტო წყლით, არამედ უშუალოდ ნიადაგიდანაც. ისეთი ბოსტნეული, როგორიცაა თვის ბოლოვე, სტაფილი, უმთავრესად ნიადაგიდან ბინძურდება. მათი შედარებით ნაკლები გაბინძურება იმით აისხება, რომ შემოწმებული ნიადაგი ნაკლებად გაბინძურებულია, ვიზრე სარწყავი წყალი. საინტერესოა სტაფილის გაბინძურების შესწავლა. ცალკეული იყო შესწავლილი სტაფილი და მისი ფოთლები. სტაფილი არ ეხება სარწყავაც წყალს და ბინძურდება უშუალოდ ნიადაგიდან, ხოლო მისი ფოთლები უშუალოდ სარწყავი წყლით ბინძურდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, ფოთლები უფრო დაბნეურებული აღმოჩნდა, ვიდრე თვით სტაფილი.

კასპის რაიონში ჰელმინთების კვერცხებით გაბინძურებული ბოსტნეულისა და მწვანილის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს განსხვავება ბაზარსა და უშუალოდ ბოსტანში ალებულს შორის. ბაზრის 1 კგ ბოსტნეულსა და მწვანილში საშუალო მოდის 2,6 კვერცხი, ხოლო ბოსტნისაზე 1 კგ-ზე 3,8. ამგვარად, ბაზარში ალებული მწვანილი და ბოსტნეული უფრო ნაკლებად არის გაბინძურებული, ვიდრე ბოსტანში შეძენილი. ეს გარემოება იმის შედეგა, რომ მწვანილი ნაწილობრივ სუფთავდება ჰელმინთების კვერცხებისაგან.

шуро-длієბа с іжевесі сі гаражемеба, рімд ზაფხულში ეზოებიდаң ალებულ სінჯебში კვერცხебіс დიდი პროცեნტი (78,2%) აღმოჩნდა სიცოცხლისუნარი-ანი. ამ დროს ნიადგში ჰელміნთების კვერცხები იღუპება მასობრივად, მწვა-ნილსა და ბოსტნეულშე კი იქმნება კვერცხების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. კასპის რაიონში ბოსტნები უმთავრესად გაშენებულია ბაღებთან, ამიტომ გარდა ბოსტნეულისა და მწვანილის ჩრდილისა, ბოსტნებში არის ხეების ჩრდილიც. ხშირი მოჩრწყვა უზრუნველყოფს აუცილებელ ტენიანობას. ასეთ პირობებში კვერცხებს არა მარტო სიცოცხლის შენარჩუნების უნარი აქვთ, არა-შედ ინვაზіურ სტადიამდე განვითარებისაც. ამაზე მიუთითებს ამოვლინებული კვერცხები ინვაზіური მატლის სტადიაზე (39,5%). კასპის რაიონში მებოსტნეობა ითვლება მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად. მწვანილი და ბოსტნე-ული გამოიყენება საკვებად, უმთავრესად უმა სახით. ამიტომ ჰელმინთოზების გაურცელებაში კასპის რაიონში მწვანილ-ბოსტნეულს ენიჭება განსაზღვრული როლი.

კასპის რაიონის მწვანილი და ბოსტნეული, გარდა მისა, რიმ გამოიყენება საკვებად, დიდი რაოდენობით გააქვთ ბაზარზე კასპში და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

მწვანილ-ბოსტნეული მოაქვთ თბილიშიც, რაც მოსახლეობის დაინვაზი-რების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

ექიმთა დახელოებების თბილისის

ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 11.10.1956)

#### დამოუკიდებლი ლიტერატურა

1. ი. გვალესიანი და მ. ხურციძე. წყალი, როგორც *Balantidium coli*-ს ცისტების გადამცემის ფაქტორი. მაღარიისა და სამედიც. პარაზიტოლოგიის ინსტ.-ის ბიულ. № 1, 1951, გვ. 56.
2. Ф. Л. Бух. Данные гельминтоовоскопического обследования источников водоснабжения Уфы. Медицинская паразитология и паразитарные болезни, в. 2, 1945, стр. 66—67.
3. З. Г. Василькова. К вопросу самоочищения Москва-реки от яиц гельминтов. Медицинская паразитология и паразитарные болезни, в. 5, 1947, стр. 11—16.
4. В. А. Гефтер. Экспериментальное изучение роли водоемов в эпидемиологии аскаризоза. 1950.
5. П. П. Горячев. Гельминтоовоскопическое исследование воды рек Иртыша и Оми. Медицинская паразитология и паразитарные болезни, в. 1, 1947, стр. 75—78.
6. Н. Н. Еремов. Гельминтоовоскопические исследования воды некоторых рек и каналов внутри города, Гигиена и санитария, № 7, 1953, стр. 44.

მასპარაზიმუნიული მიღების

გ. ზვიადაძე

ბეჭის ტვინის ცვლილებები თირმოობრივი მასპარაზიმუნიული  
მკურნალობის შემდეგ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 19.11.1956)

თირეოტოქსიკოზის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ ძვლის ტენის ცვლილებების შესახებ ლიტერატურული მონაცემები ძალზე მცირეა. მკურნალობიდან ამდენიმე დღის შემდეგ ძვლის ტენის ცვლილებებზე ჩვენ მხოლოდ ორ შრომას შევხედით (ც. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ა და ო. ბ ი ს ტ რ ე მ ი ს შრომებს).

ც. მაკალათის მონაცემებით, ოპერაციიდან 5—7 დღის შემდეგ ძვლის ტენის პუნქტატში ალინიშნება ერთობლასტების რაოდენობის შემცირება, რის გამოც შეფარდება ლეიკო იძლევა შედარებით მაღალ მაჩვენებლებს. ლიმფოციტების რაოდენობა მცირდება, მეგაკარიოციტების რაოდენობა მატულობს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ძვლის ტენის ანერაციის შემდგომი ცვლილებები მით უფრო ნათლადაა გამოხატული, რაც უფრო ნაკლები ღრრა გასული აპერაციიდან და პირუეუ. ბისტრების მიერ შესწავლილა ძვლის ტენის ცვლილებები ანერაციიდან 5—8 დღის შემდეგ. მისი მონაცემებით, ძვლის ტკინზი ლეიკოციტების რაოდენობა არ განიცდის ცვლილებებს, აღვილი აქვს ყველა სახის ერთობლასტების, განსაკუთრებით კი ნორმობლასტების, რაოდენობის შემცირებას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შედარებით დღი მასალაზე შეგვესწვლა ძვლის ტენის სურათი თირეოტოქსიკოზის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ.

ჩვენა მასალა მოიცავს 30 შემთხვევას ტოქსიკური ჩიყვების ოპერაციული მკურნალობის შემდეგ. აღნიშნული შემთხვევები გამოიყვალით შემდეგ ვადებები: ოპერაციიდან მე-5 დღეს — 2 შემთხვევა, მე-6 — 1, მე-7 — 6, მე-8 — 4, მე-9 — 6, მე-10 — 4, მე-11 — 1, მე-12 — 3, მე-16 — 1, მე-20 — 1, 23-ი — 1, 31-ე — 1 შემთხვევა. ე. ი. სულ 30 შემთხვევა.

ჩვენი მონაცემების მიხედვით, ოპერაციის შემდეგ ალინიშნება ერთობლასტების რაოდენობის შემცირება. მიელობლასტების რაოდენობა შემთხვევა-თა 2/3-ში შემცირდა, დანარჩენ შემთხვევებში უმნიშვნელოდ მოიმატა. ნეიტროფილური რიგის უჯრედები იჩენენ ტენიდენციას მომწიფებისაფში, რის შედეგადაც სეგმენტბირთვიანი უჯრედების რაოდენობა მატულობს 5—16%-ით და 30 შემთხვევიდან 20 შემთხვევაში ნორმის ფარგლებში ექცევა. ასეთსაც მოკლენას აქვს აღვილი ერზინოფილური უჯრედების მხრივაც. ბაზოფილების რა-

ოდენობამ 20 შემთხვევაში მოიმატა, 5 შემთხვევაში დაიკლო, ხოლო 5 შემთხვევაში კი იგი უცვლელი დარჩა. მონოციტების რაოდენობა შემთხვევათა უმრავლესობაში მატულობს და ზოგჯერ 4%-მდე აღწევს.

ლიმფოციტების რაოდენობამ 24 შემთხვევაში დაიკლო 5—10%-ით, მავრამ მინიც ნორმაზე მაღალი დარჩა, 6 შემთხვევაში აღინიშნა ლიმფოციტების უმნიშვნელო მიმატება (1—5%-ით). ერთობლასტების რაოდენობის შემცირების მინიშვნელობა მათი მომწიფების ინდექსი ნორმის ფარგლებს არ სცილდება.

თუ ოპერაციამდე მეგაკარიონციტებს ხშირად ვერ ვნახულობდით მიელოგრამის გამოყეანისას, ოპერაციის შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში მათი რაოდენობა 0,25—0,75%-ს შორის მერყეობდა.

საკუთარი მასალის შესწავლის საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მიედით:

1. თირეოტოქსიკოზის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ ძლის ტვინში ნეიტროფილური და ეოზინოფილური რიგის უჯრედები იჩენენ ტენდენციას მომწიფებისადმი;

2. ლიმფოციტების რაოდენობა, მიუხედავად შემცირებისა, უმრავლეს შემთხვევაში ნორმაზე მაღალია;

3. ერთობლასტების რაოდენობა მცირდება, თუმცა მათი მომწიფების ინდექსი ნორმის ფარგლებს არ ცილდება;

4. ოპერაციის შემდეგ ძლის ტვინის ნორმალიზაცია მით უფრო თვალსაჩინოა, რაც უფრო მეტი დროა გასული ოპერაციიდან და პირუკუ.

საჭაროველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 მესტერიმეტრული და კლინიკური ქირურგიისა  
 და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი  
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 19.11.1956)

ექსპრესიონის გადაცემა

ბ. მანჯალაძე

შვრილი ნაწლავების პრცესი რაზეცის გავლენის  
საკითხებისათვის დარჩენილი ნაწილის უმრავმებამოყოფ  
ცურნებიაზე

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 21.11.1956)

შვრილი ნაწლავების ვრცელი რეზექციის ოპერაციის ამტანობა და ამ ქი-  
რურგიული ჩარევის ადრეული და შორეული შედეგები დიდი ხანია ისყრობს  
ქირურგთა და პათოლოგთა უურადებას.

ე. ლონდონის ლაბორატორიაში რიგი შრომებით დადგენილ იქნა მრავალი  
ფაქტი, რომლითაც დასტურდება ნაწლავების მოტორიისა და შეწოვითი ფუნ-  
ქციის კანონზომიერი შეცვლა ნაწლავების სხვადასხვა უბნის რეზექციის შემ-  
დეგ (ბ. სტასოვი, [3], პ. ბრიუხანოვი, [1], ს. სლლოვინოვი [2]).

აღნიშვნული ავტორები ამავე დროს თითქმის არ შეეხნენ დამოკლებულ  
ნაწლავებში მომნელებელ ფერმენტთა გამოყოფის საკითხს.

ბოლო წლებში წვრილ ნაწლავებში მიმდინარე სეკრეტორული პროცესის-  
თავისებურებათა გარკვევა, კერძოდ მომნელებელი \*ფერმენტების ნაწლავის-  
წვენის მკვრივ ნაწილთან აქტიური სეკრეციისა (გ. შლიგინი [5, 6, 7], ლ. ფონ მი-  
ნა [4]), აგრეთვე ფეკალურ მასებთან ზოგიერთი მომნელებელი ფერმენტის გა-  
მოყოფის ფაქტის დადგენა (გ. შლიგინი [7]) ახალ პრასკეპტივის სახავს საჭ-  
მლის მონელების ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში.

ჩვენ მიზნად ვისახავდით შეგვესწავლა ექსპრიმენტში ის ცვლილებები ნაწ-  
ლავების ფერმენტების გამოყოფის შრივი, რომელიც თან ახლავს წვრილი ნაწ-  
ლავების ვრცელი უბნის რეზექციას.

ცდები ჩატარდა 8 ძაღლზე, რომელთაც წინასწარ გაკეთებული ჰქონდათ  
ოპერაცია თირისა ან თირი-ველას მიხედვით. წვრილი ნაწლავების მთელი სი-  
გრძის ნახევრის რეზექცია (გაზომვის სიზუსტის ფარგლებში) ვაწარმოვეთ იმავე  
უბაშში, სადაც ძაღლს ნაწლავის იზოლირებული მარყუები ჰქონდა. 2 ძაღლზე  
ჩატარდა საკონტროლო ცდები; რეზექციის ნაცვლად მათ შესატყვის ფარგალში  
უკეთდებოდა ენტეროტომია.

ნაწლავის წვენის ვაგროვებდით უზმოზე 6 საათის განმავლობაში. ისაზოვრე-  
ბოდა ნაწლავის სეკრეტის თხიერი და მკვრივი შემადგენელი ნაწილების რაო-  
დენობა, შემდეგ ვაწარმოებდით წვენის ჰომოგენიზაციას და ვსაზღვრავდით  
შემდეგ ფერმენტებს: ენტეროკინზეს, ტუტე არეში მოქმედ ფოსფატაზას, სახა-  
რაზას, ერეპთინსა და ლიპაზას, გაანგარიშებას ვაწარმოებდით ფერმენტების იმ

რაოდენობაზე (პირიდითი ეგრთულებით), რომელიც გამოიყოფოდა ნაწლავის წვერის მკვრიცი ნაწილის 1 გრამთან და აგრეთვე მთლიანი წვერის 1 მლ-თან ერთ საათში. მომნელებელი ფერმენტების განსაზღვრას ვაჭარმოებდით საკავშირო სამეტლიცინო შეცნიერებათა აკადემიის საჭმლის მონელების ლაბორატორიაში შემოღებული მეთოდიკების მიხედვით.

დაკვირვების მთელ პერიოდში ცხოველები იღებდნენ ჩვეულებრივ ლაბორატორიულ დიეტს, რომელშიც ცხიმის რაოდენობა შემცირდა ნორმის  $\frac{1}{3}$ -მდე. კუჭ-ნაწლავის აშლილობისას ცხოველებს ეძლეოდათ წყალში დალბობილი თეთრი პური.

ძალლების მდგომარეობა პირველ 2-3 კვირაში რეზექციის შემდეგ სრულდათ არ ლაპარაკობდა მონელების ფუნქციის მხრივ რამე შეუქცევადი ცვლილებების არსებობის შესახებ. ცხოველები მაღანად ეტანებოდნენ საკვებს და მეტად მოძრავი იყვნენ. საცდელი ძალლების სხეულის წონა ოპერაციისა და ოპერაციის შემდგომი პერიოდში ჩვეულებრივ ეცემოდა 15-17%-მდე. ამის შემდეგ წონის დაკლება აღინიშნებოდა საჭმლის მონელების აშლილობასთან დაკავშირებით, რაც ნაოპერაციებ ძალლებს პერიოდულად ემართებოდათ. კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოშლილობა სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა სიხშირით მოსწოდა, საბოლოოდ ეს იწვევდ წონის საკრძნებ დაკლების და საერთო მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას.

წონის მომატება ჩინი მიერ არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა აღნიშნული. დაკვირვების მოგვარინებით პერიოდში (90—180 დღი რეზისიის შემდეგ) ცხოველების მდგომარეობა პროგრამულად უარესდებოდა წონის დაკლება 30—35%-ს აღწევდა. ძალლები აპათიული ხდებოდა და, მათი ბეჭვი კარგავდა ელვარებას, ტერმინალურ პერიოდში აღინიშნებოდა პირის შეშუპება, ერთერთ ძალლს წინა კიდურზე გაუჩნდა იარა. ორ შემთხვევაში ცილის რაოდენობის განსაზღვრით დაგენილ ექს ჰიპოტონებინები (4, 3—5,2% ცილა—ნორმა—6-8%). ამრიგად ვითარდებოდა ე. წ. მარაზმის დამახასიათებელი სურათი, რაც ამგვარ შემთხვევებში არაერთხელ იყო აღწერილი ლიტერატურაში.

ნაწლავების სეკრეტორიული ფუნქციის მხრივ აღინიშნებოდა რიგი ცვლლებები (სათანადო მონაცემები იხ. 1 ცხრილში).

#### ცხრილი 1

ნაწლავის წვერის სეკრეცია ერთ საათში წერილი ნაწლავების  
რეზექციის და მის შემდეგ (გრამობით)

	ც ე ლ ტ ა ზ	წვერის რაოდენობა		მკვრიცი ნაწილის რაოდენ.		მკვრიცი ნაწილის რაოდენ. %/ე%	
		რეზექცი- ამდე	რეზექ- ცემდებ	რეზექცი- ამდე	რეზექ- ცემდებ	რეზექცი- ამდე	რეზექ- ცემდებ
ზემო ნაწილის რე- ზექცია	1	0,76	0,89	0,43	0,17	59,2	17,5
	2	1,21	0,9	0,63	0,14	50,1	13,4
ქვემი ნაწილის რე- ზექცია	5	0,34	0,43	0,05	0,12	15,2	24,5
	6	1,33	0,7	0,4	0,35	29,9	53,8
	7	1,0	0,6	0,24	0,19	27,3	31,4

ამ მონაცემების განხილვისას ირკვევა, რომ წვრილი ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექცია იშვებეს წვენის მკვრივი კომპონენტის პროცენტული შემცველების საგრძნობ შემცირებას (41,7—36,7%-ით). სეკრეტის საერთო რაოდენობა პრაქტიკული უცვლელი დაჩია, შეიცვალა მხოლოდ მასში მკვრივი ნაწილის გამოყოფა.

იმ ძალების ნაწლავის წვენში, რომელთაც გადატანილი ჰქონდათ წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის რეზექცია, მკვრივი ნაწილის პროცენტული რაოდენობა მატულობდა, ე. ი. ოლინიშნებოდა იმის საჭინააღმდეგო მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექციის დროს. მკვრივი კომპონენტის პროცენტული შემცველების მომატება ზოგ შემთხვევაში დაკავშირებული იყო წვენის თვით ამ შემაგრენელი ნაწილის მომატებასთან, ზოგ შემთხვევაში კაწვენის თხევადი ნაწილის რაოდენობის შემცირებასთან.

გადავდივართ რა ნაწლავის სერიეტში ფარმენტების განსაზღვრით მიღებული მონაცემების განხილვაზე (ცხრილი 2 და 3, ფრჩხილებში მოცემულია მერყეობის საზღვრები), შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საცდელ ცხოველთა ორივე ჯგუფში შესამჩნევია ფერმენტების რაოდენობის მომატება წვენის მკვრივ ნაწილში.

ცხრილი 2

ფერმენტების გამოყოფა პირობითი ერთეულებით ნაწლავის წვენის მკვრივი  
ნაწილის 1 გრამზე წვრილი ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექციამდე  
და მის შემდეგ

ც ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა	ე ნ ტ ე რ თ კ ი ნ ა ზ ა		ფ ა ს ფ ა ტ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
I	138 (250—118)	1719 (2951—1065)	10,325 (13230—9012)	40959 (60750—17325)
2	561 (864—520)	9478 (12000—5490)	3482 (5226—2400)	7870 (12380—4129)
3	283 (158—406)	1475 (2025—1200)	12124 (16698—5600)	29193 (31480—27050)

ს ა ხ ა რ ა ზ ა	ე რ ე ფ ს ი ნ ი		ლ ი პ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
614 (787—311)	1424 (1987—903)	223 (336—170)	680 (930—495)	64,4 (78—49)
273 (451—147)	2182 (4460—972)	187 (230—135)	744 (960—569)	96 (126—76)
140 (250—116)	1244 (1665—898)	247 (349—212)	329 (376—240)	68,4 (70—30)
				145 (759—87) 364 (582—262) 102 (106—97)

ამრიგად, სახარაზის შემცველობა იმ ცხოველების ნაწლავის სეკრეტში, რომელთაც გაეთხებული ჰქონდათ წვრილი ნაწლავების ვრცელი რეზექცია, მომატებულია მიახლოებით 6-ჯერ. რამდენადმე უფრო მეტად მომატებულია ფოსფატაზის რაოდენობა ნაწლავის წვენში წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის რეზექციის შემთხვევაში. ლაპაზის მომატება ერთნაირად იყო გამოხატული საცდელი ძალების ორივე ჯგუფში, მაგრამ ეს ნამატი ნაწლავის წვენის სხვა ფერმენტთან შედარებით ნაკლები ხარისხით იყო გამოხატული. გარკვეული განსხვავება შესამჩნევა საცდელი ცხოველების ამ ორ ჯგუფს შორის ერთფინის რაოდენობის მხრივ. ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექციის შემდეგ ერთფინის რაოდენობა ნაწლავის წვენში მომატებულია 2,5-ჯერ, ნაწლავების ქვემო ნაწილის რეზექციის შემდეგ კი მისი რაოდენობა უცვლელი დარჩა.

## ცხრილი 3

ფერმენტების გამოყოფა პირობითი ერთეულების ნაწლავის წვენის  
მცვივი ნაწილის 1 გრამშე წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის  
რეზექციამდე და მის შემდეგ

ცხრილი 3	ფ რ ს ფ ა ტ ა ზ ა		ს ა ხ ა რ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
5	( 4573 ( 6740—2750)	38257 (40000—15525)	148 (189—114)	1428 (1983—954)
6	38983 (55200—1800)	61926 (83636—41305)	239 (304—145)	1067 (1709—720)
7	14622 (20381—4860)	19886 (25400—14372)	190 (224—103)	1382 (1900—964)

## ე რ ე ფ ს ი ნ ი

## ლ ი პ ა ზ ა

რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
675 (920—530)	948 (1120—712)	148 (245—86)	257 (278—233)
168 (209—128)	295 (374—187)	51 (68—42)	50,2 (73—24)
302 (386—224)	317 (505—212)	36,8 (54—27)	133 (200—60)

განსაუთრებით მკვეთრად მატულობს ენტეროკინაზას რაოდენობა იმ ძალების ნაწლავის წვენში, რომელთაც ნაწლავის იზოლირებული მარყუები ჰქონდათ წვრილი ნაწლავების ზემო ნაწილში. ენტეროკინაზას რაოდენობა ამ ძალების ნაწლავის წვენში 10—12-ჯერ სჭაბობდა ნაწლავების რეზექციამდე მიღებულ ოდენობებს. დანარჩენი საცდელი ცხოველების ნაწლავის წვენში (ნაწლავის იზოლირებული მარყუები წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილში) ენტერო-

კინაზა აღმოჩნდა მხოლოდ ერთ ძალს და ამ შემთხვევაშიც რეზექციის შემდეგ აღინიშნებოდა მისი მომატება (1,5-ჯერ).

შვერილი ნაწყლავების ჯირკვლოვანი აპარატის ფუნქციური მდგრამარეობის შეფასებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მთლიანი წვენის შედგენილობაში სეკრეციის ყოველ ერთ საათში გამოყოფილი ფერმენტების რაოდენობის განსაზღვრას.

#### ცხრილი 4

სეკრეციის ერთ საათში გამოყოფილი ფერმენტების რაოდენობა

აირობითი ერთოვლულებით წვრილი ნაწყლავების ზემო ნაწილის

რეზექციამდე და მის შემდეგ

საცენტრო ტენიანი ნორმები	ე ნ ტ ე რ ო კ ი ნ ა ზ ა		ფ ო ს ფ ა ტ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
1	58 (83—20)	232 (492—110)	4996 (5643—3383)	13187 (1625—3016)
2	354 (425—292)	1426 (1640—1140)	1956 (2931—1116)	5859 (10687—2931)
3	133 (288—58)	561 (720—440)	7877 (12667—3020)	12215 (19488—7259)

ს ა ხ ა რ ა ზ ა	ე რ ე ფ ს ი ნ ი		ლ ი პ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
170 (242—80)	286 (430—142)	128 (185—56)	136 (233—82)	28 (32—26)
151 (125—377)	518 (730—249)	113 (164—80)	88,4 (131—53)	57 (66—43)
77 (90—68)	553 (716—329)	135 (197—91)	150 (225—93)	28 (38—18)

ამ მაჩვენებლის მიხედვით, ფერმენტების გამომუშავების პროცესის გაძლიერება ყველაზე მეტად შესამჩნევია ენტეროკინაზას, სახარაზასა და ნაწილობრივ ფისფუტაზას მიმართ. მაგალითად, თუ № 2, № 3 და № 6 ძალების ნაწლავის წვენი მკვრივი ნაწილის 1 გრამში რეზექციის შემდეგ სახარაზას რაოდენობა საწყისთან შედარებით 6,2—6,4-ჯერ იყო მომატებული, მათ სეკრეტში სეკრეტორული პროცესის 1 საათშიც, ფერმენტების გამოყოფა საგრძნობლად გადიდდა.

ამრიგად, სეკრეტის ერთ საათში მთლიანი წვენის ერთ გრამში მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა დაკავშირებულია არა მარტო მათი გამომუშავების დონესთან, არამედ დამკიდებულია აგრეთვე წვენში მკვრივი ნაწილის შემცველობისა და გამოყოფილი სეკრეტის საერთო რაოდენობისაგან.

## ცხრილი 5

ფერმენტების გამოყოფა ნაწლავის წევნთან პირობითი ერთეულებით  
სუკრეციის 1 საათში წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის  
რეზექციამდე და მის შემდეგ

რეზექციის დრო	ფ თ ს ფ ა ტ ა ზ ა		ს ა ხ ა რ ა ზ ა	
	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
5	( 1953 ( 3360—1250)	( 4137 ( 6666—1563)	( 67 ( 94—50)	( 171 ( 119—159)
6	( 15811 ( 29500—7650)	( 30441 ( 61950—20300)	( 90 ( 129—62)	( 296 ( 110—485)
7	( 3589 ( 5034—1350)	( 18457 ( 34500—5278)	( 126 ( 214—75)	( 206 ( 331—79)

მ რ ე ფ ს ი ნ ი		ლ ი პ ა ზ ა	
რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
( 30 ( 36—23)	( 108 ( 133—82)	( 8 ( 12—4)	( 26 ( 28—25)
68	78	19	13
( 112—39)	( 111—53)	( 23—6)	( 16—10)
75	54	11	11
( 119—36)	( 78—28)	( 17—7)	( 13—9)

ზემოთქმული შესაძლებელია აღინიშნოს რიგ შემთხვევებში ერთობინისა და ლიპარის მიმართაც.

თუ შევადარებთ მოყვანილ მონაცემებს 30-32 დღეზე ფეკალურ მასებთან გამოყოფილი ენტეროკინაზას რაოდენობის განსაზღვრის შედეგებს (ცხრილი 6), იმ დასკვნამდე მივალთ, რომ, მოუხედავად ნაწლავების დარჩენილ ნაწილში ენტეროკინაზას გამომუშავების საგრძნობი გაძლიერებისა, ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექცია მნიშვნელოვნად ამცირებს ენტეროკინაზას საერთო რაოდენობას ნაწლავების შიგთავსში.

## ცხრილი 6

ენტეროკინაზას შემცველობა საცდელი ძალლების განვალში  
(პირ. ერთ. 1 გ-ზე) წვრილი ნაწლავების ზემო ნაწილის რეზექციამდე და მის შემდეგ

საცდელი ძალლის წომერი	რეზექციამდე	რეზექციის შემდეგ
1	2295	500
2	6042	4337
3	3000	1680

შვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის რეზექციის შემთხვევებში განვალში ენტენინაზას რაოდენობის შემცირება არ აღინიშნებოდა. ფოსტტაზას რაოდენობა ფეკალურ მასებში უმრავლეს შემთხვევებში რეზექციის შემდეგ არ განსხვავდებოდა საწყისი რაოდენობისაგან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნაწლავების დარჩენილი ნაწილი ფოსტატაზას გამომუშავების სრულ კომპენსაციას აძლეს.

დაკვირვების მოგვანებით პერიოდში, რეზექციის დღიდან 2-3 ოვის გავლის შემდეგ ცხოველების საერთო მდგომარეობის გაუარესების ფონზე (რაც ზემოთ გვქონდა აღნიშნული) შესამჩნევი იყო საგრძნობი ცვლილებები წვრილი ნაწლავების სეკრეტორული და ფერმენტგამოყოფი ფუნქციის მხრივაც. ნაწლავის სეკრეტის მკვრივი ნაწილის გამოყოფა ღრის ერთეულში განცხრელად მცირდებოდა, ამავე ღრის მცირდებოდა მასში მომნელებელი ფერმენტების რაოდენობაც. დაკვირვების პერიოდის ბოლოს საცდელი ძალების ნაწლავის წვენში ენტეროფანზა სრულიად არ ისაზრდებოდა. ფოსტატაზასა და სახარაზას რაოდენობა იმ ძალის ნაწლავის წვენში, რომელსაც გადატანილი ჰქონდა წვრილი ნაწლავების ქვემო ნაწილის რეზექცია, თითქმის ნულამდე დავიდა.

ნაწლავის ფერმენტების განსაზღვრის გზით მიღებული მონაცემებისა და კლინიკური დაკვირვების შედეგების შეჯამების საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია ვითიქროთ, რომ საცდელ ცხოველებს დაკვირვების ბოლო პერიოდში ცილის შეთვისების მოშლილობა განვითარდათ.

ჩვენ მონაცემები წვრილი ნაწლავების სეკრეტორული ფუნქციის შესახებ ამ მხრივ სრულ თანხმობაშია ლ. ფომინას [4] მონაცემებთან, რომელსაც ექსპერიმენტულად შესწავლილი აქვს ცილის ნაკლებობის გავლენა ნაწლავის სეკრეტორულ ფუნქციაზე.

### დასკვნები

1. წვრილი ნაწლავების ვრცელი რეზექცია იწვევს წვრილი ნაწლავების დარჩენილ ნაწილში მომზღვეულობის ფერმენტების გამომუშავების საგრძნობ გაძლიერებას. განსაკუთრებით მკვეთრად მატულობს ენტეროფანზას, ტოტი ფოსტაზასა და სახარაზას გამოყოფა ნაწლავის წვენის მკვრივ ნაწილთან.

2. საგრძნობლად მატულობს აღნიშნული ფერმენტების გამოყოფა მთლიან წვენთან 1 საათის განვალობაში. საშუალოდ იგი 1,5-8-გრ აღმატება ოპერაციამდელ ღონეს. ნაწლავის წვენის მკვრივი კომპონენტის სხვა ფერმენტებით გამდიდრება გამოყოფილი წვენის რაოდენობისა და მასში მკვრივი კომპონენტის შემცველობის ცვალებადობის გამო რიგ შემთხვევებში არ ახდენდა გავლენას ღრისის ერთეულში მთლიან ნაწლავის სეკრეტან გამოყოფილი ფერმენტების რაოდენობაზე.

3. დაკვირვების მოგვიანებით პერიოდში ძალებს, რომლებმაც გადაიტანეს წვრილი ნაწლავების 50% რეზექცია, შესამჩნევად უმცირდებოდათ ნაწლავის სეკრეტის მკვრივი კომპონენტის გამოყოფა. აღინიშნებოდა ნაწლავის წვენში

ფერმენტების რაოდენობის დაცემა ენტეროკინაზას, ფოსფატაზასა და ზოგჯერ სახარაზას სრულ გაქრობამდე.

4. წვრილი ნაწლავების ვრცელი რეზექციის შემდეგ მათ დარჩენილ ნაწილში უმთავრესი ფერმენტების გამომუშავების გაძლიერება ფუნქციური კომპენსაციის მოვლენების ჩიგს უნდა მივაკუთხნოთ.

საჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა  
და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 21.11.1956)

### დამომზადული ლიტერატურა

1. П. П. Б о ю х а н о в . К учению о пищеварительных процессах при различных дефектах в области кишечника. СПБ, 1913.
2. С. К. С о л о в ь е в . К учению об усвоении пищевых веществ при различных дефектах в области пищеварительного аппарата, СПБ, 1913.
3. Б. Д. С т а с о в . К учению о компенсаторных явлениях при резекции кишок. СПБ, 1913.
4. Л. С. Ф о м и н а . Вопросы питания, сб. 12, 1, 130, 1951.
5. Г. К. Ш л ა г и н . Успехи современной биологии, 33, 1, 14—32, 1952.
6. Г. К. Ш л ა г и н . Проблемы физиол. и патол. пищеварения, Труды научного совещания физиологии и патологии пищеварения, М.—Л., 305—309, 1954.
7. Г. К. Ш л ა г и н . Терапевтический архив, 28, 39—48, 1956.

მშპრინციპული მაჯიდინა

8. გაჩერილად

ქუმის სეპრემია და საჭმლის მონილებითი ლეიკოციტების ქუმისა  
და თონჰემიტონების ნაწყავის ზელულოვანი დაავადების დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ჭ. ერისთავმა 4.1.1957)

საჭმლის მონელებასა და პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების რაოდენობრივ ცვლილებებს შორის კამინი პირველად აღნიშნული იყო დონდერ-სის მიერ ჯერ კიდევ 1846 წელს.

მე-19 საუკუნის ბოლოდან დაწყებული საკითხი საჭმლის მონელებითი ლეიკოციტოზის განვითარებისა, რომელსაც წინ უძლოდა ხანმოკლე ლეიკოპენიის ფაზა, არა ერთხელ მუშავდებოდა როგორც რუს, ისე უცხოელ მკვლევართა შრომებში.

აგრძელებული შემჩნეული იყო, რომ ხშირად იცვლება საჭმლის მონელებითი ლეიკოციტოზის ნორმალური მრუდი. ავტორთა ერთი ჯგუფი ამ ცვლილებებს უკავშირებს კუჭის წვენის მეუღლის ცვლილებებს, კერძოდ, თავისუფალი მარილის მეუღლისას, რომლის არარსებობის ლროს ქრება საჭმლის მონელებითი ნორმალური ლეიკოციტური რეაქცია [2, 4, 5]. ავტორთა მეორე ჯგუფი ამ კავშირის არსებობას უარყოფს [1, 3].

საჭმლის მონელებითი ლეიკოციტოზის კუჭის სეკრეციის ცვლილებებთან დამოკიდებულების საკითხის გარკვევისათვის გადავწიყვიტეთ შეგვესწავლა საჭმლის მონელებითი ლეიკოციტური რეაქცია კლინიკური ავადმყოფებზე კუჭის სეკრეტორული ფუნქციის ცვლილებების ფონზე.


ამ მიზნით დაკვირვება ვაწარმოვებ კუჭისა და 12-გოგა ნაწლავის წყლილოვანი დაავადების მქონე 20 ავადმყოფზე. ავადმყოფთა საერთო რიცხვიდან 2 იყო ქალი და 18 მამაკაცი 25-დან 67 წლამდე. დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით 1 თვეილან 1 წლამდე — სამი კაცი, 1 წლიდან 5 წლამდე — რვა, ხოლო 5 წლის ზევით — ცხრა.

მ ე თ თ დ ი კ ა

დილით უზმოზე ავადმყოფებს ვუკილევდით ლეიკოციტების რაოდენობას პერიფერიულ სისხლში, რის შემდეგ მათ ეძლეოდათ შეჩეული სახის საკვები. სისხლის განმეორებით გამოკვლევებს ვაწარმოებდით საკვების მიღებიდან 30 წუთის, 1, 2 და 3 საათის შემდეგ.




ავადმყოფი შ. 51 წლისა, შემოვიდა 31/XII-53 წელს. უჩიოდა ეპიგას-  
ტრიუმის მიღამში არსებულ ძლიერ ტეივილს, რომელიც ეჭყობა საკვების



მრუდი 1. ლეკციის მიღების რაოდენობრივი ცვლილე-  
ბების მაჩვენებლები: 1—საჭმლის მოწელებითი ლეკ-  
ციის იტონი, 2—ლეკციის მიღების თვითნებური მერყეობა

მიღებისთანავე, აგრეთვე გულის რევასა და ღებინებას. ავადა 1950 წლიდან,  
ტეივილები აწუხებდა განსაკუთრებით ალკოჰოლიანი სასმელების მიღების



მრუდი 2. ლეკციის მიღების რაოდენობრივი ცვლილებე-  
ბის მაჩვენებლები: 1—საჭმლის მოწელებითი ლეკ-  
ციის იტონი, 2—ლეკციის მიღების თვითნებური მერყეობა

შემდეგ. მკურნალობდა ამბოლატორიულად, მაგრამ უშედეგოდ. უკანასკნელ  
წელს ავადმყოფობა გაუმჯვავდა. პალპაციით — ეპიგასტრული მიღამ მტკიფ-  
ნეული.



## ცხრილი 1-ის გაგრძელება


№	ისტ. № ავადმყ.-გვარი, წლოვანება, სქესი	გამოყენების დრო	ლინგვისტიკური ანალიზი	ლეიტოციტური ფორმულა						პუნქტის ჭრი	სურათი მუსიკის HCE
				ასალი.	ჩანა.	სუბ.	ლინ.	მონიც.	ერთობ.		
9	ისტ. № 1486 კ-ლი ე. 38 წ. მამაკაცი	საკვების მიღ-მდე	8.500	1%   52%	40%	5%	2%				
		შემდეგ	7.600	0.5%   50%	43%	4.5%	1.5%	0.5%			
		1 ს.		3838	3268	342	114	38		28	10
		შემდეგ	7.700	0.5%   50%	44%	4%	1.5%				
		2 ს.		3888.5	3388	308	115.5				
		შემდეგ	8.700	1%   54%	37%	5.5%	2.5%				
		3 ს.		4785	3219	478.5	217.5				
10	ისტ. № 1449 ი-ლი ვ. 43 წ. მამაკაცი	საკვების მიღ-მდე	3.850	5%   61%	18%	14%	2%				
		შემდეგ	4.050	2541   59%	22.5%	12%	2%	0.5%		86	44
		1 ს.		2551.5	911.25	486	81	20.25			
		შემდეგ	4.500	4.5%   59.5%	20.5%	11.5%	3.5%	0.5%			
		2 ს.		2880	922.5	517.5	157.5	20.5			
		შემდეგ	4.100	3.5%   60%	21.5%	12%	2.5%	0.5%			
		3 ს.		2603.5	881.5	492	102.5	20.5			
11	ისტ. № 6567 ა-ძე ვ. 56 წ. მამაკაცი	საკვების მიღ-მდე	5.800	3%   61%	25%	10%	1%				
		30 წ.		3712	1450	580	58				
		შემდეგ	4.700	1.5%   60%	28%	8.5%	2%				
		1 ს.		2890.5	1316	399.5	94			40	20
		შემდეგ	4.900	1.5%   59%	29%	9%	1.5%				
		2 ს.		2964.5	1421	441	73.5				
		შემდეგ	6.800	3%   63%	23%	9%	2%				
12	ისტ. № 7015 შ-ია ა. 34 წ. მამაკაცი	საკვების მიღ-მდე	5.800	1%   47%	44%	2%	6%				
		30 წ.		2784	2552	116	348				
		შემდეგ	4.500	1.0.5%   46%	43.5%	3%	7%				
		1 ს.		2092.5	1957.5	135	315				
		შემდეგ	5.000	1.0.5%   45.5%	45%	2.5%	6.5%				
		2 ს.		2300	2250	125	325				
		შემდეგ	5.700	1%   48%	45%	2%	4%				

უკუჭის წვენის ანალიზი: ევალდ-ბოასის საცდელი საუზმის მიღებიდან 45 წელის შემდეგ ამოღებულ იქნა კუჭის შიგთავსი 30 სმ<sup>3</sup>-ის რაოდენობით, მყარი ნაწილების შეფარდება თხიერთან 1:4, ქიმიურიაცია — დამატებული დამატებული. საერთო მეავობა — 52, თავისუფალი მაჩილმევა — 34.

რენტგენოსკოპით — კუჭი ჰიპოტონური, მცირე სიმრდეზე კუჭის სხეულის მიდამოში აღინიშნება ნიშა, პერისტალტიკა ღრმა, გადასვლა თავისუფალი.

### კლინიკური დიაგნოზი — კუჭის წყლული

საჭმლის მონიტორინგითი ლეიკოციტოზის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პირველი ლეიკოპენიის ფაზა დადგა საკვების მიღებიდან 1 საათის შემდეგ. ლეიკოციტოზის საწყისი რაოდენობა 6900-დან 5800-მდე დავიდა, ხოლო მეორე ფაზა ლეიკოციტოზისა დადგა 3 საათის შემდეგ საკვების მიღებიდან და ლეიკოციტოზის რაოდენობამ 8000-მდე მიაღწია (იხ. მრუდი 2).



მრუდი 3. ლეიკოციტების რაოდენობრივი ცვლილებების მაჩვენებლები: 1 — საჭმლის მონიტორინგითი ლეიკოციტოზი, 2 — ლეიკოციტების თვითნებური მერყობა

ლეიკოციტური ფორმულის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ლეიკოციტების რაოდენობრივი ცვლილებები, ისე როგორც წინა შემთხვევაში, ძირითადად ნეიტროფილური ელემენტების ხარჯზე მიმდინარეობს.

ლეიკოციტების თვითნებური მერყობის მრუდი მკვეთრად განსხვავდება საჭმლის მონიტორინგითი ლეიკოციტოზის მრუდისაგან (იხ. მჩ. № 2). ლეიკოციტების ცალკეული ფორმების მერყეობა ასევე უმნიშვნელოდაა გამოხატული (იხ. ცხრილი 2).

ავადმყოფი ე. 63 წლისა, შემოვიდა 9/V154 წელს. უჩივის ეპიგასტრიუმის მიდამოში ტკივილს, რომელიც ეჭიება საკვების მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ, და დებინებას. ტკივილი ავადმყოფს აწუხებს ბავშვობის ასაკიდან, მაგრამ უკანასკნელი 3 თვეა, რაც მწვავე ხასიათი მიიღო და ძლიერი ღებინება დაეწყო.

კუჭის წვენის ანალიზი: ევალდ-ბოასის საცდელი საუზმის მიღებიდან 45 წელის შემდეგ ამოღებულ იქნა კუჭის შიგთავსი 30 სმ<sup>3</sup> რაოდენობით. მყარი

ნაწილების შეფარდება თხიერთან 2:4, ქიმიტიკაცია დამაკმაყოფილებელი, საერთო მევაობა — 90, თავისუფალი მარილმუავა — 28, რეაქცია რძის მევაზე უპროფილი. რენტგენოსკოპით — კუჭი გაგანიერებული, მდებარეობს მცირე მენტში, გადასვლა არ არის. 12 საათის შემდეგ აღინიშნება საკონტრასტო ნივთიერების უმნიშვნელო რაოდენობით გადასვლა კუჭიდან. *Bulbus duodeni* ძლიერ დეფორმირებულია.

კლინიკურ დიაგნოზი — 12-კოჯა ნაწლავის წყლული, პილორუსის სტენიზი, კუჭის გაგანიერება.

საკვების მიღების შემდეგ ლეიკოციტური რეაქციის შესწავლით გამოირკვა, რომ საჭმლის მონელებით ლეიკოციტოზს ნორმალური ორფაზიანი ხსიათი როდი აქვს. ლეიკოციტების რაოდენობრივი მერყეობა სუსტადა გამოხატული. ლეიკოციტების საწყისის რაოდენობა 8200-ს უდრიდა, დაკვირვების 2 საათისათვის უმნიშვნელოდ მოიმატა (8900), ბოლოს კი 8700 გახდა (იხ. მრ. 3).

როგორც ზემოთ აღწერილიდან ჩანს, ლეიკოციტების რაოდენობა ამ შემთხვევაში უმნიშვნელოდ მერყეობს, ასევე უმნიშვნელოა ფორმიანი ელემენტების აბსოლუტური რიცხვების მერყეობა (იხ. ცხრილი 6).

ლეიკოციტების თვალნებური მერყეობა, შესწავლილი ამავე ავადმყოფზე, თათქმის ისეთივე ხასიათისაა, როგორც ლეიკოციტების რაოდენობრივი ცვლილებები საკვების მიღების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საერთო მევაობა 90 იყო, ხოლო თავისუფალი მარილმუავა — 28, საჭმლის მონელებით ლეიკოციტურ რეაქციას მაინც არ პერიდა ნორმალური ხსიათი.

ასეთები სურათი მიღიღეთ საჭმლის მონელებითი ლეიკოციტოზის დარღვევის დანარჩენ ორ შემთხვევებშიც (ერთ ავადმყოფს კუჭის კიბო აღმოჩნდა).

წყლულოვანი დავავადების 17 შემთხვევაში, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მიღებულ იქნა ნორმალური საჭმლის მონელებითი რეაქცია, მიუხედავად იმისა, რომ კუჭის სეკრეცია სხვადასხვა იყო.

ამგვარად, საჭმლის მონელებითი ლეიკოციტოზის სხვადასხვა სახით გამოვლინება არ შეიძლება კუჭის სეკრეციის ხსიათით აიხსნას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და  
ჰემატოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 4.1.1957)

#### დამოვალული ლიტერატურა

1. Г. И. Бородулин. Некоторые изменения крови у больных раком желудка пищеварительный лейкоцитоз, «Русск. врач», № 28, 1906, стр. 857—860.
2. Э. М. Гельштейн. О пищеварительной лейкоцитарной реакции, «Русск. клиника», № 1, 1924, стр. 27—47.
3. В. И. Иост. Пищеварительный лейкоцитоз при раке желудка, «Сарат. Вестник Здравоохран.», № 10—11, 1923, стр. 7—15.
4. В. А. Тихонов. К вопросу о пищеварительном лейкоцитозе и его клиническом значении, Дисс., СПб., 1902.
5. Р. С. Часовников. Пищеварительный лейкоцитоз при различных формах желудочной секреции, Сибирский арх. теорет. и клинич. медицины, т. IV, кн. 7, стр. 537—553. 1929.

ისტორია

დ. კაპანაძე

მ. ბარათავისა და გ. ლაგოლუას ზოგიერთი განაზღვრის  
შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა 18.10.1956)

XII საუკუნის ბოლოსა და XIII ს. დასაწყისის „უწესოდ მოჭრილ“ ქართულ მონეტათა უმრავლესობას და იმავე დროს „წესიერად მოჭრილ“ მრავალ მონეტას ახლავს სხვადასხვა ზედნაჭედი. მაგრამ ცნობილი თერთმეტი ქართული ზედნაჭედიდან ([1], 72) დღემდე გაშიტოულია მხოლოდ ორი, დანარჩენი ცხრა ამოუკითხავი დარჩა. ეს სტატია მძღვნილია ერთ-ერთი გაურკვეველი ზედნაჭედის ამოკითხვისადმი და ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ზედნაჭედების საერთო და ზოგადი დაზარისათვება.

მონეტაზე ზედნაჭედის მოთავსება, ე. ი. მონეტაზე გაცილებით უფრო მცირე ზომის პუნქონის საშუალებით რამეთ ნიშნის (კონტრომარკის) დატანა ხდებოდა სხვადასხვა მიზნით. ზედნაჭედს უმთავრესად იყენებდნენ მიმღეცევაში მყოფი მონეტის ნომინალური ღირებულების შესაცვლელად, ესე იგი მისთვის ახალი, რეალურ ღირებულებაზე გაცილებით უფრო მაღალი კურსის მისაცემად. ეს გამარტივებული ხერხი შესამნევად ამცირებდა მონეტის დასამზღდებლად საჭირო ხარჯებს. ჩვენში ზედნაჭედს ხშირად იყენებდნენ მისითვისაც, რომ უცხოური მონეტა საკუთარ მონეტებად გადაექციათ. ამრიგად, ამ ღონისძიებას საფუძვლად ძირითადად ეკონომიკური მოსაზრებანი უდიდეს, მაგრამ, თუ ამ ღონისძიების მიზნები ჩვენთვის ასე თუ ისე აშეარაა, თვით ზედნაჭედების შინაარსი და მნიშვნელობა უმთავრესად გაურკვეველი რჩება.

უკვე აღნიშნული იყო, რომ აქამდე მხოლოდ ორი ზედნაჭედია გაშიტოული, ერთი მათგანი წარმოადგენს ჩაჭდეულ კვადრატს, ზომით  $7 \times 8$  მმ, შეი მოთავსებული ასომთავრული ქართული ორი ასოთი **ქ** და **ჩ**, რომლებიც უდავოდ რცხული დედოფლის სახელის დაქარაგმებას წარმოადგენს (იხ. ნახ. 1).


რცხული და სახელთან არის ასევე დაკავშირებული მეორე ზედნაჭედი, რადგან ნახატი, რომელიც მოთავსებულია 11—12 მილიმეტრის ზომის წრეში, ორნამენტის სახით მთლიანად მეორება 1227 წლით დათარიღებული რცხული ნამდვილის სპილენძის მონეტის შებლზე (იხ. ნახ. 2).



ნახ. 1

მ. ბარათავემა შენიშვნა კიდეც ამ ორნამენტში ორი-სამი ასო, რომლებიც რუსუდანის სახელის ნაწილს შეადგენენ ([2], III, 125), მაგრამ ე. პახომოვმა უარყო ეს მოსაზრება ([3], 117, და 128).

ამავე პერიოდს ეკუთვნის კიდევ ერთი ზედნაჭედი, რომლის ნახატს აქ № 3-ით ვიძლევით და რომელსაც ვ. ლანგლუა რუსუდანის „შიფრად“ თვლიდა. მაგრამ შესაძარებელი მისალის უქონლობის გამო მისი მოსაზრება დაუსაბუთებელი ჩანდა და ე. პახომოვი არც მას ეთანხმებოდა ([3], 128). დამატებით მოპოვებულ მასალასთან ამ ზედნაჭედის შედარებამ ცხადყო, რომ ვ. ლანგლუა არ ცდებოდა და მისი განსაზღვრა საესებით სწორი აღმოჩნდა.



ნახ. 2

1952 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსულია რუსუდან დედოფლის უნიკალური და ყოველმხრივ ღირსშესანიშნავი დრამა (საინვ. № 7804, გ.), რომლის დაწვრილებითი აღწერა და ფოტოპროფილუქცია მოცემულია ერთერთ ჩვენს წერილში [4], ამიტომ აქ ვათავსებთ მხოლოდ ამ მონეტის ზურგის ჩანახატს (ნახ. 4).



ნახ. 3

თვალის უბრალო გადავლებითაც აღვილად შევნიშნავთ, რომ მონეტის ცენტრში მოთავსებული ერთმანეთში გადახლართული ხაზები წარმოადგენს 1200 წლით დათარიღებული თამარის მონეტის მიხედვითკარგად ცნობილი ნიშნისა<sup>(1)</sup> და რუსუდანის სახელის შემაღენელი ყველა ასოს რთული მნიშვნელის შერწყმას. ქვემოთ თვალისაჩინოებისათვის მოცემულია ამ გადახლართულ ხაზთა ცალკე ნახატი და იგივე ნახატი, დაშლილი შემადგენელ ნაწილებად (იხ. ნახ. 5).




ნახ. 4

ეს მეტად საინტერესო ნახატი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმიტომაც, რომ სრული დამაჯერებლობით ცხადყო მ. ბარათავეის და ვ. ლანგლუას მოსაზრებათა სისწორე. ჩვენს უნიკალურ დრამაზე გამოსახულია საგვარეულო ნიშანი, რომლის ცენტრში მოთავსებულია მონოგრამა. ამ მონოგრამისა და განსახილვების ზედნაჭედის (იხ. ნახ. 3) მსგავსება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სრული სიცხადისა და შედარების გასადავილებლად აქ მათი ნახატები განმიორებულია.

მონოგრამაში მოცემული ზოგიერთი დამატებითი ხაზი ზედნაჭედის ნახატს აკლია, რაც უკანასკნელის გამარტივებითა და სქემატიზაციით აიხსნება,—ოსტატს მისი ამოჭრა უხდებოდა გაცილებით უფრო მცირე, დაახლოებით 10 მმ.

(1) ზემოასენებული ჩვენი სტატია [4] მიძლვილია სწორედ ამ ნიშნის გაშიფრვისადმა.

ზომის პუნქტობრივი თამარის ზოგიერთი მონეტის ანალოგიურად ([1], 64, 65 და [3], 99) მე მიზანშეწონილად მიმაჩინა ამ „შიფრს“ რუსულანის ვენზელი ვუწოდოთ.



ნაზ 5

ნუმიზმატთა მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს ზედნაჭედი რუსულან დედოფლის სპილენძის მონეტის ორნამენტის ნაწილს წარმოადგენს, სავსებით სამარ-



მონოგრამა დრამაზე



ზედნაჭედი

თლიანია. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, შევიდავები ე. პახომოვს იმაში, თითქოს ამ ორნამენტის (კინტრალური „ხვეული“ (მე-6 ნახატზე ის შეღებილია ტუშით) მუსლიმანური წარმოთქმის შენიდვებს წარმოადგენს ([3], 117 და 128). ამას ეწინააღმდეგება არა მარტო ზემოთ მოყვანილი შედარება, არამედ ქვემოთ, ცალკე მე-7 ნახატზე მოყვანილი ამ „ხვეულის“ გაშიფრა.

სავსებით აშკარაა, რომ ზემოხსენებული მონოგრამისა და ნაწილობრივ ზედნაჭედის მსგავსად, ეს „ხვეულიც“ შეიცავს იმავე ასოებს, რომელთაგან შედგენილია რუსულან დედოფლის სახელი<sup>(1)</sup>. ამრიგად ირკვევა, რომ, ე. პახომოვის კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, გ. ბარათავეციც სავსებით სწორ გზაზე მდგარა.




ნაზ. 6

ზემოგანხილული სამი ზედნაჭედი უდავოდ რუსულანს მიეკუთვნება<sup>\*</sup> არა მარტო თავისი გარეგანი ნიშნებით, არამედ იმიტომაც, რომ ლაშა გიორგისა, თამარისა და ზოგჯერ გიორგი III და დემეტრე I მონეტებზე ([1], 72) მათი გაჩენა სათანადო ისტორიული პირობებითაც ([5], 31) აისნება. ნუმიზმატიკური

(1) მადლობას უუბდი თ. ბარათაველს, რომელმაც ამ „ხვეულის“ გაშიფრვაში მიიღო მონაწილეობა.

ფაქტებით დასტურდება, რომ მისი სახელით აღბეჭდილი მონეტები რუსულა-ნის ტახტზე ასვლის 5 წლის შემდეგ გაჩნდა მხოლოდ, ე. ი. 1227 წელს ([1], 69 და [3], 117). ცხალია, რომ ამ ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფო უფრდოდ ვირ გაძლებდა. ამიტომ, რუსულანის მმართველობის პირველ ეტაპზე ის უნდა დაკ-მაყოფილებულიყო თავის წინამორბედთა მონეტებით. ასეთ შემთხვევებში მო-



ნახ. 7

წეტებზე ჩვეულებრივ დამატებითი ნიშანი ჩნდება, ე. ი. მასზე ზედნაჭედს ათავ-სებენ. მართვაც, აღნიშნულ დროს ჩვენში ეს ლონისძიება განსაკუთრებით იყო გაურცელებული.

ამ ზედნაჭედებიდან ორი აღრევე იყო გაშიურული ([1], 73 და [3], 127), ხოლო მესამე იხსნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისეული უნიკალური დრამის წყალობით. უფრო მეტიც, — თამამად ვიტყვით, რომ აქედან ორი ზედნა-ჭედი (ნახ. 2 და 3) ხმარებაში ყოფილა რუსულანის მმართველობის პირველ ოთხ წელიწადს. ესეც უტყუარი საბუთებით დასტურდება: 1226 წელს ჯელალ ედი-ნის მიერ გადაჭედილ ქართულ მონეტებზე ეს ზედნაჭედები ყოველთვის მოქ-ცეულია სულტანის უფრო გვიანდელი სიქის ქვეშ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო

მუზეუმი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 18.10.1956)

#### დამომაბული ლიტერატურა

1. Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, Москва, 1955.
2. М. Бараташвили. Нумизматические факты грузинского царства, СПб, 1844.
3. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I (домонгольский период). Записки Нумизматического отделения ИРАО, СПб., 1910
4. Д. Г. Капанадзе. Родовой знак Багратионов на грузинской средневековой монете. Юбилейный сборник, посвященный столетию со дня рождения А. В. Орешникова, ч. II, Москва, 1957.
5. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მესამე, თბილისი, 1949.



მთხოვნების ისტორია

პ. ფილილაშვილი

არქოლოგიური გათხრებისას მოკოვებული ზოგიერთი  
სადასტარო ინაღმის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორსკონდიცია. კ. ჩიქოვანია 15.11.1956)

ქართული არქეოლოგიური ძელოვანი მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოში დაახლოებით X—VI საუკუნეებში აჭარმოებდნენ ისეთ რთულ აბერაციებს, როგორიცაა თავის ქალას ტრეპარაცია [1]. ამგვარი აბერაციების წარმოება, ცხადია, სათანადო სადასტარო იარაღების გარეშე შეუძლებელია.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული, ქართული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ჩვენმდე მოღწეული ზოგიერთი სადასტარო იარაღი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არაღები ერთი შევეღვთ ისეთ შემატეჭდილებას ახდენენ, თითქოს მათ იყენებდნენ არა სადასტარო მიზნით, არამედ საჯახო, სამეურნეო და სხვა მიზნით. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თითო სამარხში თითო ნივთია აღმოჩენილი და ისიც ისეთი, რომელიც აბერაციის წარმოების ამა თუ იმ ეტაპზე იმარება/და არა მთელი აბერაციის მსგლელობის დროს. მაგრამ ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითებს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება, რომ იმ იარაღების ნაწილი ეკუთვნის ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას (XI—IX ს.), ხოლო ნაწილს უშუალოდ გადავყავართ რკინის ხანაში. ამ დროისათვის კი რკინა შეტაცძირად ფასობდა. მას ძირითადად ბრინჯაოს იარაღების შესამკიბად და უმთავრესად საომარი იარაღების დასამზადებლად იყენებდნენ [2]. აღნიშვნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ რკინისაგან ამზადებდნენ ისეთ სადასტარო იარაღებს, რომელიც ქსოვილთა გასაკეთოდ იყო განკუთვნილი. მას გამო ასეთი სახის ბრინჯაოს იარაღი, როგორც ხანს, რკინის იარაღი ხმარებიდან სრულიად გაუძევებია. იარაღებს შორის ბრინჯაოს დანის კვალი არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს. ბრინჯაოს დანით კი, როგორც ბაბილონური წერილობითი წყაროებიდანაც ცნობილი, ჭრ კიდევ ძვ. წ. 2250 წელს პეტებზენ ისეთ რთულ აბერაციებს; როგორიცაა სხეულის მძიმე გაკვეთი, ბრილის ექსტრაქცია და სხვა [2].

როგორც ცნობილია, ბრინჯაოს იარაღები უფრო კარგად ინახება მიწაში და თითქმის არ ფურდება, რკინის იარაღები კი, დროის გარევეული მონაკვეთში (3000—2500) უანგვითი პროცესების გამო იშლება და, თუ იგი პატარა ზომისაა, შეიძლება უკვალოდ გაქრეს [2].

ვიქიქრბთ, აღნიშვნულით უნდა იხსნას ის გარემოება, რომ ბრინჯაოს სადასტარო იარაღების გვერდით ჩვენ მიერ ქვემოთ დასახელებულ სამარხებში ვერ ვხდებით რკინის ისეთ სადასტარო იარაღს, როგორიცაა დანა, რომელმაც, აღბათ ხმარებიდან განდევნა თავისი წინაპარი ბრინჯაოს დანა, ანდა, როგორც

ზოგიერთი არქეოლოგი ფიქრობს, რეინის ხანაში ჭირისუფალი რეინას, როგორც ძვირფას ლითონს, ყოველთვის ვერ იმეტებდა მიცვალებულისათვის ჩასატანებლად [2].

მშუქნდავად არსებული ნაკლოვანებისა, ჩევნ მაინც მიზანშეწონილად ვცანით აღნიშნული იარალების შესწავლა. მათი გარეგნული მონაცემები თთვეშის გვაძლევს საფუძველს მათში დავინანოთ უფრო ხალხური სადასტაქრო იარაღები, ვიდრო სამუშაოები ან შინამოხმარების საგნები. თუმცა მთლიანად არც ამ გარემოების გამორიცხავა შეიძლება, რადგან იმ დროისათვის, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანი ჩეინას მეტად მომჰირნეობით ხმარობდა და ერთსა და იმავე იარალებს, შესაძლო, სხვადასხვა ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. ამგარად, აღნიშნული საკითხი ქართულ მეცნიერის ისტორიის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს და უდავოდ შესწავლის ლირსია.

ქევროთ აღწერთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ ზოგიერთ სადასტაქრო იარაღს.

1. ბრინჯაოს ნემსი № 12—54 1032, სამთავრო (მცხეთა). მოპოვებულია

1939 წ. № 10 ორმოსამარხში არქ. ალ. კალანდაძის მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. XI—X სს.<sup>(2)</sup> ნემსი მრგვალგანივევეთიანია, ქვეს ოვალური ყუნწი, სიგრძე 12,8 სმ უდრის, გარშემოწერილობა ყუნწისა. — 3 მმ. შუაწელის — 2 მმ. წვერის — 1 მმ.

2. ბრინჯაოს ნემსი № 12—54 1696. სამთავრო. მოპოვებულია 1939 წ. № 143

ორმოსამარხში არქ. მ. ივაშჩენკოს მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. X—IX სს. იგი მრგვალგანივევეთიანია — წაწვეტებული, შუიდან წვერისაენ ოდნავ დეფორმირებული, ქვეს ოვალური ყუნწი. სიგრძე 13,7 სმ უდრის, ყუნწის გარშემოწერილობა — 4 მმ, შუაწელის — 2,5 მმ, წვერის — 1 მმ.

3. ბრინჯაოს ნემსი № 12—54 1578. სამთავრო. მოპოვებულია 1939 წ. № 51

ორმოსამარხში არქ. ალ. კალანდაძის მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. IX—VIII სს. ნემსი მრგვალგანივევეთიანია, ბრტყელი ყუნწით და მრგვალი ნაჩერეტით. სიგრძე — 12,5 სმ, ყუნწის გარშემოწერილობა — 3,5 მმ, შუაწელის — 2 მმ, წვერის — 1 მმ.

4. ბრინჯაოს ნემსი № 12—54 1368. სამთავრო. მოპოვებულია 1939 წ. № 39 ორ-

მოსამარხში არქ. ალ. კალანდაძის მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. IX—VIII სს. ნემსი მრგვალგანივევეთიანია, წაწვეტებული, ოდნავ დეფორმირებული, ქვეს ბრტყელი ყუნწი და მრგვალი ნაჩერეტი. სიგრძე — 11 სმ, გარშემოწერილობა ყუნწისა — 3,5 მმ, შუაწელის — 2 მმ, წვერის — 1 მმ.

5. ბრინჯაოს ნემსი № 12—54 1384. სამთავრო. მოპოვებულია 1939 წ. № 40

ორმოსამარხში არქ. ალ. კალანდაძის მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. VIII—VII სს. ნემსი მრგვალგანივევეთიანია, წაწვეტებული, ბრტყელი ყუნწით და მრგვალი ნაჩერეტი.


<sup>(1)</sup> აქაც და შემდეგავ იგულისხმება სამუშაომ საინვენტარო ნომერი.

<sup>(2)</sup> თარიღების დადგენა ეკუთვნის არქ. ალ. კალანდაძეს.

ჩეტით. სიგრძე—11,6 სმ, ყუნწის გარშემოწერილობა—3,5 სმ, შუაწელის—2 მმ, წვერის—1 მმ.

6. ბრინჯაოს ნემსი № 12-54 1052. სამთავრო. მოპოვებულია 1939 წ. № 23

ორმოსმარტი არქ. ალ. კალანდაძის მიერ. ეკუთვნის ძვ. წ. VIII—VI სს. ნემსს ყუნწი მოტეხილი აქვს. იგი მრგვალგანივევეთანია, წაწვეტებული: ნარჩენი სიგრძე—12,5 სმ., ყუნწის ნარჩენ მიღმოში გარშემოწერილობა—3 მმ, შუაწელის—2 მმ, წვერის—1 მმ.




სურ. 1

საფიქრებელია, რომ ზემოთ აღწერილ ბრინჯაოს ნემსებს თავისი დროისათვის სამეურნეო დანიშნულებაც ჰქონდათ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის ადამიანს იგივე ნემსები ეხმარა დიდი ზომის ჭრილობების გასაკერად; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ერთი მხრივ, ქართული არქეოლოგიური ძვლოვანი მასალა (ძვ. წ. VII—VI სს.), რომელზედაც ნათლად ჩანს გაურთულებლად შეხორცებული ჭრილობების ქვალი [1], ხოლო, მერჩე მხრივ, V ს. წერილობითი ძეგლი „წამებად წმიდისა შუშანიკისი“, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ჩვენა წინამედი ჭრილობას ჯერ მობანდნენ და ისე გაშტონდნენ, შემდეგ კი მალამოთი და წამლებით მკურნალობდნენ: „მიბრაძანე და მოგბანო სისხლი ეგა პირსა შენსა (სთხოვ გარსქენისაგან ნაცემ დელფინს იკობ ხუცესი) და ნაცერი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს და სალბუნი და წამალი დაგადვა. რაითა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ [4].

32. „მოამბე“, ტ. XVIII, № 4, 1957

დიდი მოცულობის ჭრილობებს კი, გარდა ზემოთ ხსენებული მანიპულაციებისა, აბრეშუმის ძაფით კერავდნენ. ამის შესახებ „უსტორო კარაბადინში“ (XI ს.) ნათქვამია: „თუ გავეთილი ერთი მტკაველი იყოს ანუ უფრო, ფოლადის ნემსით უნდა შეკეროს აბრეშუმითა ფრთხილად, ეს ნაწილი... შეკერულზე ხოყარე და ზედ ძველი ბაბა დასდევ და შეხვიდ“ [5]. მოყვანილი ამონაშერიდან ნათლად ჩანს, რომ გაქრილ ჭრილობაზე აყრიდნენ მშრალ სამკურნალო ფხვნილს, ადებდნენ ნახვევს, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ჭრილობიდან გამონადენი სისხლი შეწყვილიყო. ილნიშნული გარემოება კი ამჟამად ჭრილობების მქურნალობის საქმეში ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანია.

მაშასადამე, წერილობითი ძეგლები და შესწავლილი ქართული არქეოლოგიური ძვლოვანი მასალა გვიჩვენებს, რომ ჭრილობების მქურნალობის საქმე ჩვენში აღრიდანგე სათანადო სიმაღლეზე ყოფილა დაყენებული. სახელდობრ, მქურნალობის საქმეში, გარდა წამლებისა და ნახვევს დადებისა, დიდი ჭრილობების შემთხვევების დროს მიღებული ყოფილა ჭრილობის გაქრევა, რისთვისაც დასტაჭარი სამეურნეო ხასიათის იარაღებსაც კი იყენებდა. დასაშვებია, რომ ასეთ იარაღთა რიცხვს ექვთვნოდა ზემოთ აღწერილი ნემსებიც, რომლებიც უსტორო კარაბადინში დასახელებულ „ფოლადის ნემსის“ შორეულ წინაპრიდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ექ. გ. თე დორაძის მიერ აღწერილი ხევსურული სადასტაჭარო იარაღები, რომელთა შორის გვხედება ყოველ-



სურ. 2

დღიურად სახმარი საოჯახო იარაღი — დანა, სამუშაონეო ხასიათის იარაღი — ხევწი და სხვა [6].

1. ბრინჯაოს მრგვალი ზონდი № 1573. სამთავრო. მოპოვებულია არქ. მ. ივაშენკოს მიერ 1939 წ. № 160 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. IX—VIII სს. ზონდია მრგვალგანივევეთიანია, წვერი ყუნწისაკენ მოკაუჭებულია ძვეს 3—4 მმ სიგრძეზე. ყუნწი მოკაუჭებული წვერის მხარეს თითქმის ოვალურია და ნაწილობრივ ჩატეხილი. სიგრძე — 21 სმ, ყუნწის ღიამეტრი — 8 მმ, შუაწერის — 8 მმ, წვერის — 1 მმ.

თუ დაცეცრდნობით მოგვიანებითი ხანის ცნობას, სადაც ნათქვამია: „...თუ ეს დაკოდილი თავს იყოს, ...რე ღრმად იყოს პატრუქით შეუღევ“ [5], ზემოთ აღწერილი ნივთის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმა უნდა წარმოადგენდეს ზონდს, რომლის საშუალებითაც ჭრილობის სიღრმეში შეკენდათ პატრუქი. მისი სასაჩრეა გარემობრივი, რომ ამ ხელსაშეკონტ შეერი მოკაუჭებული ძვეს, ე. ი. აქ მხედლელობაში მიღებულია სამი გარემობა — პირველი: წვერის რომ არ გაეჩელიტა პატრუქი და ტკივილები არ მიეცა ნებინა ავადმყოფისათვის (ჭრილობაში პატრუქის ჩადგების დროს); მეორე: მოკაუჭებული თავი კარგად მოტენიდა ჭრილობას პატრუქით, და მესამე: მოკაუჭებული წვეტიანი თავით ადვილი იქნებოდა საჭირო შემთხვევაში როგორც პატრუქის დაძრა, ისე მისი მთლიანად ამოლება ჭრილობიდან.

1. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{22-30}{4}$  — ძველი ანაგა (კახეთი). მოპოვებულია 1930 წ. ალაზნის არხის სამუშაოების დროს. ჩამოტანილია ს. მაკალათიას მიერ. ეკუთვნის ქვ. წ. XI—VI სს. პინცეტი ძირითადად კარგად არის შენახული, პირები თოდნავ შეგნით აქვს შებრუნებული, ასე რომ დამჭერის ფუნქციას კარგად ასრულებს. სიგრძე — 12,2 სმ, პირის სიგანე — 15 მმ.

2. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{11-02}{42/2403}$  სომხითი (ქვემო ქართლი), მოპოვებულია 1902 წ. არქ. ა. დ. ეროვნების მიერ. ეკუთვნის დაახლოებით ქვ. წ. XI—VI სს. სიგრძე — 10,8 სმ, პირის სიგანე — 8 მმ.


3. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{14-32}{31}$ . მოპოვებულია ზინდისში (სურამი) 1932 წ. ეკუთვნის დაახლოებით ქვ. წ. XI—VI ს. სიგრძე — 11,5 სმ, პირის სიგანე — 12 მმ.

4. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{15}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. კალანდაძის მიერ 1938 წ. № 65 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. X—IX სს. სიგრძე — 9 სმ, პირის სიგანე — 8 მმ.

5. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{8154}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. კალანდაძის მიერ 1939 წ. № 196 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. IX—VIII სს. პინცეტის მქლავების ზედაპირი შემცულია დაკლავნილი ხაზოვანი სახეებით. სიგრძე — 13 სმ, პირის სიგანე — 11 მმ.

(<sup>1</sup>) პირველ სამ შემთხვევაში თარიღების დადგენა ეკუთვნის არქ. რ. აბრამიშვილს, დარჩენებ ათ შემთხვევაში კი — არქ. ალ. კალანდაძეს.

6. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{4455}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. ქალანდაძის მიერ 1940 წ. № 151 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. IX—VIII სს. წინა შემთხვევის მსგავსად, პინცეტის ზედაპირი შემცულია დაკლაქნილი ხაზოვანი ორნამენტით. სიგრძე — 10 სმ., პირის სიფართე — 9 მმ.
7. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{1439}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. ქალანდაძის მიერ 1939 წ. № 44 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. VIII—VII სს. სიგრძე — 5 სმ., პირის სიგანე — 12 მმ.
8. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{4899}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. ქალანდაძის მიერ 1940 წ. № 181 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. VIII—VII სს. პინცეტის შელავაში ზედაპირი შემცულია ტეხილი ხაზოვანი ორნამენტით. სიგრძე — 8,5 სმ., პირის სიფართე — 11 მმ.



სურ. 3

9. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{1784}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. ქალანდაძის მიერ 1939 წ. № 70 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. VIII—VII სს. პინცეტის აქვს მომრგვალებული თავი და შევიწროებული ყილი. სიგრძე — 7,6 სმ., პირის სიფართე — 10 მმ.
10. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{2332}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ. ქალანდაძის მიერ 1939 წ. № 112 ორმოსამარხში. ეკუთვნის ქვ. წ. VIII—VII სს. სიგრძე — 7 სმ. პირის სიფართე — 12 მმ.

11. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{229}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ.

კალანდაძის მიერ 1938 წ. № 17 ორმოსამარხში. ეკუთვნის ძვ. წ. VIII—VI სს.  
სიგრძე — 9 სმ., პირის სიგანე — 10 მმ.

12. ბრინჯაოს პინცეტი №  $\frac{12-54}{4358}$ . სამთავრო. მოპოვებულია არქ. ალ.

კალანდაძის მიერ 1939 წ. კულტურულ ფენაში. ეკუთვნის ძვ. წ. VIII—VI სს.  
სიგრძე — 6 სმ., პირის სიგანე — 11 მმ.

13. ბრინჯაოს პინცეტი № 49. სამთავრო. მოპოვებულია არქ. მ. ივაშ-  
ჩენკოს მიერ 1939 წ. № 15 ორმოსამარხში. ეკუთვნის ძვ. წ. VIII—VI სს. სიგ-  
რძე — 8,5 სმ., პირის სიგანე — 7 მმ.

ამგვარად, ყველა პინცეტი, როგორც მათი აღწერილობიდან და სურათე-  
ბიდან ჩანს, კარგად არის შენახული. ყველა მათგანს მხრები დასაწყისში შედა-  
რებით ოდნავ ვაწრო აქვს, ხოლო შემდგომ თანდათან ფართოვდება და მთავრ-  
დება განიერი შიგნით, შებრუნებული პირით. აღნიშნულის გამო, მათ კარგად  
შევძლოთ შეესრულებინათ დამჭერის ფუნქცია. როგორც მოყვანილი აღწერი-  
ლობიდან ჩანს, ყველა ეს 13 პინცეტი ერთომერობისაგან განსხვავდება მხოლოდ  
სიგრძით, ფორმითა და შესახებობით კერთიმერობის მსგავსია. ჩვენ მიერ შეს-  
წავლილ პინცეტთა შორის სამი პინცეტი შეკულია ხაზოვანი ორნამენტით.

ყველაზე პატარა პინცეტის სიგრძე 5 სმ-ია, ხოლო ყველაზე გრძელისა —  
13 სმ. დასახელებული პინცეტების პირის სიფართე კი საშუალოდ 7—15 მმ  
უდრის.

როგორც ცნობილია, პიპორატეს (ძვ. წ. V ს.) სადასტაქტო ხელსაწყობეს  
შორის (ზონდი, გამოსაზეპი კოვზი, მოხრილი მაშა ჭრილობიდან ჩამტვრული  
ძვლების ამოსალებად, კაფეტირი შარდის გამოსაშებად, საშოსა და უკანა ტა-  
ნის დასათვალიერებელი სარეკები) ნახსენებია ორი სახის პინცეტი: ჸირურგიუ-  
ლი და ანატომიური [7]. ამათგან ჩვენ მიერ აღწერილი პინცეტები (თუ მხედვე-  
ლობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მათგანის სიგრძეს) თითქმის არაფრით არ გან-  
სხვავდებიან.

„უსწორო კარაბალინი“ განასხვავებს ორი სახის პინცეტს — პატარას და  
ღიძეს. პატარა პინცეტს კარაბალინი „ჩქიფს“, ანუ მაშას უწოდებს, ღიძი პინ-  
ცეტი კი „მარტუხს“, ანუ გრძელი მაშის სახელით არის მოხსენებული. ჩვენ  
მიერ აღწერილი პინცეტებიდან „ჩქიფს“ შეიძლება მივაკუთვნოთ 9 პინცეტი,  
რომელთა სიგრძე — 5—9 სმ. უდრის, პირის სიგანე კი — 7—12 მმ. „მარ-  
ტუხს“ კი ჩვენ მიერ შესწავლილ პინცეტებიდან შეიძლება მივაკუთვნოთ და-  
ნარჩენი ოთხი, რომელთა სიგრძე 10—13 სმ, ხოლო პირის სიგანე 11—15 მმ  
უდრის.

„უსწორო კარაბალინში“ პინცეტთა ასეთი დაყოფა იმ გარემობაზე მიგვი-  
თოთებს, რომ საჭართველოში სადასტაქტო პრაქტიკაში მათ ნმარება დიდი ხის  
ისტორია უნდა ჰქონდა ვიზუალურობა. უნდა ვიზუალუროთ, რომ ასეთი დაყოფა პრაქტიკული  
თვალსაზრისით იყო ნაკარხახევი. კერძოდ, ისინი ობიათ იხმარებოდნენ პე-  
რაციის წარმოების დროს სხვადასხვა მიღიამოებსა და ორგანოებზე, ან შესმილ  
უცხო სხეულთა მოსალებად, ორნაშული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარა-  
კობს როგორც უძველესი, ისე მოგვიანებითი ხანის წერილობითი წყაროები.  
იგვე დასტურდება არქეოლოგიური მასალის შესწავლითაც.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთების შესწავლა-საშუალებას გვაძლევს ვიმისჯელოთ ჩვენსმდე მოღწეულ ისეთ სადასტაქრო იარა-ლებზე, როგორიცაა ბრიტანიასაგან დამზადებული ხემსები, ზონდი და პინცეტე-ბი, ამას კი ქართული ხალხური მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეჭიმთა დახლოვნების თბილისის  
ინსტიტუტი

(რედაქტირას მოუკიდა 15.11.1956)

### დამოუმებული ლიტერატურა

1. ქ. ი. ტილაშვილი. სამთავროს სამაროვანში გათხრების შედეგად მოპოვებული მა-სალები ძვალთა სისტემის დაავადების შესწავლისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადე-მიის მოამბე, ტ. XV, № 8, თბილისი, 1954. გვ. 551—559.
2. გ. ო ბ ე ჭ. ი შვილი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1952, გვ. 75.
3. ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები, ელ. აბაშიძე-რუსიას და ალ. რუსიას თარგ-მანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1934. გვ. 66. მუხლი 218.
4. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია, შედგნილი ა. შანიძის, ალ. ბარამი-ძისა და ილ. აბულაძის მიერ. თბილისი, 1940, გვ. 7.
5. ქანანელი. უსწორო კარაბადინი. თბილისი, 1940, გვ. XXXI, გვ. 390—391.
6. ქ. გ. თვედორაძე. ხუთი წელი ტბია-ხევსურეთში, წ. I, 1930, გვ. 98—100.
7. Г. Дильт. Античная техника. Перевод и примечания М. Е. Сергеенко и П. П. Забаринского. Москва—Ленинград, 1934, стр. 32.

ხელის მიერ გვიცნა მინისტრის

რ. შემოწმების

ბრძის ტაქტის მხატვრობის და გარემონტინირების საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა 15.5.1956)

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ტა-  
ძარი ს. ბედიაში (აფხაზეთში), ისტორიული სახუთების თანახმად აგებულია  
მეცნ ბაგრატ III-ის (1975/78—1014 წ. წ.) მიერ, რომელიც 1014 წ. გარდაი-  
ცვალა და, როგორც ისტორიული ქრონიკები მოწმობს, ბედიაშია დასაფლა-  
ვებული.

ძეგლის ორქიტეტტურული სახე მთლიანად, ისევე როგორც შენობის ფა-  
სადებისა და ინტერიერის მორთულობის შერჩენილი ცალკეული დეტალები,  
საქსებით ადასტურებენ ამრიგად ნავარაუდევ თარიღს. ჩვენი შრომის საგანს  
შეადგენს მხატვრობა, რომლითაც დღემდევ დაფარული ტაძრის კედლების  
ცალკეული უბნები და ამგამად სამწუხარო ნაფლეთებს წარმოადგენს ოდეს-  
ლაც მთლიანი და საყურადღებო მოხატულობისა, რომელსაც განახლება და  
შევსება განცცილი სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე.

ძირითად მომენტს, რომელიც იპყრობს ტაძარში შესული მნახველის ყუ-  
რადღებას, შეადგენს რიგი ქტიტორების გამოსახულებები, რომლებიც, რო-  
გორც ეს მიღებულია განვითარებული შუასაუკუნეების ხანის საქართველოში,  
მოთავსებულია საკურთხევლის მხბლობელ კარგად გაშექებულ აღილებში,—  
სათანადო მელავების ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე გუმბათქვე-  
ვით სივრცეში, ქვემო სარტყელზე.

ჩრდილოეთის კედლზე წარმოდგენილია (სურ. 1) ოთხი ფიგურა სრული  
სიმაღლით: მანდილისანი მხრებზე ჩამოფენილი თეთრი მანდილით შუანის  
მამაკაცის გვერდით და შემდეგ ჭაბუკი და ყრმა, რომლის ასაკი, გარდა ქალ-  
წულებრივ ნაზი, უწყერულევაში პირისახისა, ხაზგასმულია მამაკაცის ფიგუ-  
რასთან შედარებით შემცირებული სიმაღლით. ეს ოთხი ფიგურა ერთი ოჯა-  
ხის: დედ-მამისა და მათი ორი ვაჟის—უფროსის, უკვე თითქმის ვაჟაკაცისა,  
და უმცროსის—ჯერ კიდევ ყრმის—შთაბეჭდილებას ახდენს. კომპოზიციური  
თვალსაზრისით ჯგუფი გააზრებულია როგორც ერთი, რიტმულად აგებული  
მწყრივი: საკურთხევლისკნ, უფრო სწორად სამკვეთროში წესასელელის თვეზე  
წარმოდგენილი მაკურთხეველი ქრისტეს გამოსახულებისაკენ მიმართული ფი-  
გურები განმეორებულია თითქმის ფასურად გაშლილი კორპუსისა და გეერდზე  
გაზიდული ხელების ერთი და იმავე მოძრაობით, რომელიც მოკლებულია გან-  
მეორების მოსახეზრებელ ხასიათს ცალკეული პერსონაჟების სხვადასხვა სი-  
მაღლისა, და მათავადამე, ხელების სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგების წყა-

ლობით. ქტიორის სამოსლის ფერადების შენაცვლება, ე. ი. მათი განმეორება ერთი ფიგურის შემდეგ (ჭაბუკისა და მამკაცის აგურისფერი—წითელი ზემო სამოსელი და ცივი ელფერის მწვანე ქვედა სამოსელი, ყრმისა და მანდილოსნის მწვანე ზემო სამოსელი და წითელი ქვედა სამოსელი) დამატებით მოწოდს იმას, რომ აქ ადგილი აქვს მოსახრებულ განზრახვას; რიტული განმეორების ხერხით მტკიცებ იქნეს შეკაშირებული კომპოზიციის განმარტოებული როგორები და შეიძენას მათგან ერთი მხატვრული მთლიანობა.

სამხრეთი კედლის მოპირდაპირე უბანზე მოთავსებული ქტიორების გამოსახულებები, ჩრდილოეთის კედლის განხილულ გამოსახულებათა საწინააღმდეგოდ, მოცემულია ორი როგორც მთლიანი, კომპოზიციურად გაერთიანებულ ჯგუფი, ორამედ როგორც ორი, მოჩარჩიებით განუალევებული სცენა. იმ კედლისაკენ, რომელშიც გაჭრილია სადიაკონაში შესასვლელი, გამოსახულია მეფე ლორატულ სამოსელში, თვალ-მარგალიტით შემწული დიდი, საკმაოდ მაღალი, დაუკბილავი გვირგვინით (სურ. 2). მეფის ერთი ხელი გაშლილია ვეძრების მოძრაობით, მეორე, მარჯვენა წინ გაზიდული ხელით მას უპყრია გუმბათიანი ტაძრის მოდელი მეფის უკან, დასავლეთით, განსაკუთრებით მოჩარჩიებულ ფართობზე, წარმოდგენილია ორი პირის პორტრეტი: გვირგვინისანი მანდილოსანისა შეხებზე ჩამოფენილი თეთრი მანდილით და და მის წინ მდგომარე ყრმისა. ორივე ფიგურის პოზები იგივეა, რაც ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილი ქტიორებისა: თუ იქ წინ გაზიდული ხელები განაპირობებენ მოძრაობას მაკურთხეველი ქრისტესაკენ, აქ როგორც ორივე ფიგურის, ისი მათ წინ მდგომარე მეფის ხელების მოძრაობა მიმართულია ღვთისმშობლის—ორანტის გამოსახულებისაკენ, რომელიც მოთავსებულია სადიაკონში შესასვლელის თავზე.


ქტიორთა გამოსახულებებთან შერჩენილია წარწერების ნაწყვეტები. მთლიანად ფერადი ფენის ცუდი დაცულობა განსაკუთრებით მათ დამჩნევია. დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე თანამდებობათა და სახელების მაგიერ, რომლებიც თავის დროზე ოლიმპული ყოფილა ფიგურებთან, ფრაგმენტიორებულად შერჩენილმა, ჩამორჩეხილმა მხატვრობამ შეგვინახა მზოლოდ ცალკეული ასოების ნაწყვეტები, აზრობრივი კაშირი რომელთა შორის ძირითადად დაღუპულია. მაგალითად, რეფის ფიგურასთან სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, შარავანდედის მარჯვინ, შერჩენილია სამი ასო (სურ. 3), ისიც არასრულად. ორი მათგანი ც (ა) და ც (ტ) ეჭვს არ იწვევს; მესამე ასო შესაძლოა ამოიხსნას როგორც ასო ც (ა). სავარაუდო ფართო მანძილი, რომელიც გამოყოფს ამ ასოებს კომპოზიციის ფართობის განმსაზღვრელი მოჩარჩიებიდან, შესაძლებლად ხდის აქ მოთავსებულ იქნეს კიდევ ორი ასო ჟ (გ) და ჟ (რ), რაც ავსებს ბაგრატის სახელს, ნაკარნახევს აქ წარმოდგენილი მეფის გამოსახულებით, რომელიც ღვთისმშობელს მიუძღვნის აგებული ტაძრის მოდელს.

ჩრდილოეთის კედელზე, მეფე ბაგრატის საქტიორო გამოსახულების პირდაპირ მოთავსებულ ჭაბუკის გამოსახულებასთან, შარავანდედის მარჯვინ ასოების ნიშნები არ ჩანს, მარცხნივ კი იჩჩევა მონაცრისფრო-ცისფერ არეზე

მუჟი (შავი?) სალებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი წარწერის ნაშთები. ამ წარწერის მეორე სტრიქონშე გარკვევით იკითხება ასო ქ (ქ), მის მეზობელ, მარჯვნა მომდევნო, შესაძლოა 7 (ე) ასოსთან შერწყმით. მესამე სტრიქონშე ნათლად ჩანს ერთმანეთის გვერდით ასოები ქ (ე) და ც (ა) და, მათ წინ, ნახევრად გადასული, სალებავის მქრალი ნაშთით წარმოდგენილი, მრგვალი მოხაზულობის ასო—Q (ო)?, ც (ა)? შემდეგ მწერივში, უშუალოდ ქ (ხა) მარცვლის ქვემოთ, სავსებით ნათლად ირკვევა ასოები ქ (რი) და, ბოლოს, ქ (რ) ასოსგან ცოტა დაშორებით, შერჩენილია ნაშთი ასოს კავისმაგვარი დაბოლოების სახით. ამ კავის ზემოთაც ემჩნევა მუქი სალებავის კვალი. 6. ი. ტოლმაჩევსკაიას მოკლე მომხილვაში „Фрески древней Грузии“, მის იმ ნაწილში, სადაც ზოგადად განხილულია ბეჭდის ტაძრის მოხატულობა, შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ: „Среди (изображений ктиторов) кроме упомянутого Баграта 3-го, интересное изображение, по-видимому, художника, расписавшего перковь; древне-грузинская надпись, прочтенная Ш. Я. Амиранашвили, идущая по левую от зрителя сторону фигуры, сверху вниз, обозначает стороны, утрачено“.



2



სურ. 1

„художник“; имя, которое находилось с правой стороны фигуры, сверху вниз, обозначает стороны, утрачено“. ჩვენ მიერ განხილული წარწერის ფრაგმენტი, ე. ი. უკანასკნელის წინა სტრიქონშე შერჩენილი მარცვალი ქ (ხა), ბოლო სტრიქონშე კი—ქ (რი) (რი),

୫							
.							
୩							
୪	କୁ ଚୁତୁ ପୂର୍ବା						
୫	କୁ ଚୁତୁ ପୂର୍ବା						
୬	ଫୁ ର୍ବା	କୁତୁ ର୍ବା	ପ୍ରଥା: ପ୍ରଥମ				
୭	ପୁର୍ବା	କୁତୁ ର୍ବା	ପ୍ରଥା: ପ୍ରଥମ				
୮	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବା	ର୍ବା	ର୍ବା	ର୍ବା
୯	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବାଫୁ ର୍ବାଫୁ	ର୍ବା	ର୍ବା	ର୍ବା	ର୍ବା
୧୦							

მართლაც სახარბიელოდ ხდის აქ სიტყვა „მხატვარი“-ს ვარაუდს, მაგრამ ფაქტობრივი მონაცემები უფლებას არ გვაძლევს დაევთანხმოთ ასეთ ამოქითხვება: ქ (b) ასოს წინ მდებარე ასოს მოხაზულობა შეუძლებელს ხდის მიეღოლოთ იგი ჭ (მ) ასოდ, აგრეთვე შერჩენილი კავიც, რომელიც აღნიშნავს რომელილაც, დღესითვის გადასული ასოს ქვემო კიდურის მუ (რი) მარცვლის წინ (რომელსაც, როგორც ჩანს, შ. ამირანაშვილი ხსნის როგორც ც (ა) ასოს ქვემო რკალის ბოლოს) ქ (რ), ასოსაგან დაშორებულია მეტი განძილით, ვიდრე საპირო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ასო, რომელსაც იგი ეკუთხის, უშუალოდ იქნებოდა მოთავსებული მ (რ) ასოს წინ. უფრო საფუძრებელია, რომ აქ, ასოს ამ ნაწილსა და მუ (რი) მარცვალს შორის იყო კიდევ ერთი ასო ან ქარაგმა. თუ მიემართავთ წარწერის შთლიან ტექსტს და ვიგულისხმებთ, რომ ქვემოდან მესამე სტრიქონზე, ე. ი. იმ სტრიქონზე, რომელზედაც ყოველგვარ მეტს გარეშე ირკვევა ჭ (დ) ასოს მოხაზულობა, ნაიდურილად მოცემულია სიტყვა მუ=ძე, მაშინ წარწერის უკანასკნელ სტრიქონში ბუნებრივია მოველოდეთ ან გამოსახული პერსონაჟის მამის სახელის აცხვსნას, რაც ნაკლებ მოსალოდნელია ამ შემთხვევაში საჭირო ბრუნვის დაბოლოების ც (სი) უქონლობის გამო, ან ქაბუკის საკუთარ სახელს. მართლაც, ცალკეული ასოების ნაშთების მიხედვით ისახება სახელი „კახაბერი“, რომელიც გაფრცელებულია საქართველოში X—XI სს. (ნახ. 5).

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, უფრო შეეფერება სინამდვილეს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი სათუო გამოვლენა წარწერის ამ ნაწილში სიტყვისა „მხატვარი“. როგორც აღნიშნული იყო, ქტიტორთა რიგი ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე წარმოადგენს კომპოზიციურად განუყოფელ ჯგუფს მეულეობის წყვილით სათავეში, რომელიც, ასე ვთქვათ, წარუდგენენ ქრისტეს კურთხევისათვის თავის ორ ვაჯს. უფროსი ქტიტორისა და ორივე ყრმის თავსაბურავების სრული იგივეობა აესხს კაშირს მათ შორის, როგორც ერთი ოჯახის მამაკაცთა ხაზის წარმომადგენელთა შორის. მხატვრად ზიჩნეული პერსონაჟის ჯერ ისევ უშვერულვაში სახე, მისი სიმაღლე, რომელიც განგებაა შემცირებული მის უკან მდგომი მოწიფული ხნიერი მამაკაცის სიმაღლესთან შედარებით, სრული სიცავით ამეღავენდს ავტორის განხრახვას დაახასიათოს ეს პერსონაჟი როგორც ქაბუკი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია მოწიფულების ასაკისათვის,—გარემოება, რომელიც ერთხელ კიდევ საეჭვოდ ხდის ამ გამოსახულებასთან არსებული წარწერის ტოლმაჩევესაკიას მიერ მოყვანილ გახსნას.

ქაბუკი და ხნიერი ქტიტორების შარავანდედებს შორის არ შერჩენილა არც ერთი სხვა ასოს კვალი და მხოლოდ ამავე უფროსი ქტიტორისა და მის მომდევნო მანდილოსნის შარავანდედებს შორის არსებულ სივრცეშე, აგეთსავე მონაცრისფრო-ლურჯ არეშე მჟავიოდ ჩანს რამდენიმე ასო, რომელებიც შესრულებულია თეთრი, თბილი ელფერის საღებავით: ღ. მ. ღ. ... (სურ. 6). უკვე ის ფაქტი, რომ შინაარსით და მხატვრული ჩანაფიქრით ერთიანი კომპოზიციის შემადგენლობაში შემავალ წარწერებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის — ზაფი და, თეთრი — სალებავები, წარმოადგენს გადახრას მიღებული ნორ-

შებიდან და აყენებს საკითხს ამ წარწერების შესრულების სხვადასხვა დროის შესახებ. ასევე მონახაზის ხასიათი ამტკიცებს წამოყენებულ ვარაუდს. შ (დ) ასო თითქმის სწორი თაქაზით, რომელიც მთავრებება მრგვალი, ქვემოთკენ მიმართული წევეთებით ორივე კიღურზე, შეიძლება მიღუთითოთ ზუსტად ამავე ჩედაქციით წმინდანთა გრავინილებზე, რომლებიც ფრაგმენტულად არის შერჩენილი ტაძრის საკურთხევლის ღრმა ბემის ჩრდილოეთის კედელზე. ანიშნულ წარწერებში, ისევე როგორც ოთრი სალებავით შესრულებულ წარწერებში, რომლებიც შერჩენილია დიაკონი სტეფანესა და წმინდა გრიგოლის გამოსახულებებთან, ერთგვარი განხვავება აღინიშნება აგრეთვე ც (ა) ასოს მიხაზულობაში ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულ ქაბუკი ქტიტორის და მეტის პორტრეტთან არსებულ წარწერებთან შედარებით.

ამრიგად, ქტიტორთა გამოსახულებებთან არსებული წარწერების ხასიათის მიხედვით ისახება ორი ქრონოლოგიური მომენტი: ადრეული, მოხატულობის შექმნის ხნისა (თეთრი საღებავით შესრულებული წარწერა მეფის გამოსახულებასთან სამხრეთის კედელზე და შავი საღებავით შესრულებული წარწერა ქაბუკის გამოსახულებასთან ჩრდილოეთის კედელზე)—და შემდგომი (თეთრი საღებავით შესრულებული წარწერა მანდილოსნის შარავანდედთან ჩრდილოეთის კედლის ჯგუფში და წარწერები წმინდანების გამოსახულებებთან და მათს გრავილებზე საკურთხევლის ბემაში (სურ. 7).

არსებითად სხვა ხასიათისა ჩანს, ვიდრე ორივე განხილული ჯგუფის წარწერები, ხუთსტრიქონიანი წარწერა დედოფლის გამოსახულებასთან, რომლის სახელის დაბოლოება—მთვ (ზარბე?) დღესაც ცხადად იყიდხება მის შარავანდედის მარჯვნივ,— და დედოფლის წინ მდგომი ქაბუკისა, რომელიც წარწერის თანახმად წარმოგვიდგება როგორც მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი (სურ. 8). თუმცა ეს წარწერა ერთგვარად ბაძავს მეტობელ გამოსახულებასთან არსებულ წარწერის ასევე ხასიათს (ი. ასო ც ამ და იმ წარწერებში), მაინც ეს წარწერა გვაძლევს მეაფიოდ გამოხატულ „ამჟორისმაგარ“ და ასოს, რომელიც ცკევთრად განხსვავდება ც. ს მოხაზულობისაგან ჩრდილოეთის კედელზე წარმოგვიდგენილ ქტიტორ მანდილოსნის წარწერაში და აფსიდის ბეტის წარწერაში. თავისი დაუდევარი განლაგებით, გეხად დაყენებული სხვადასხვა ზომის ასევე მონახაზით, რომლებიც ძარითადად უფრო მომცრონი არიან, ვადრე მეტის გამოსახულებასთან არსებულ წარწერაში, ეს წარწერა ასევე ხასიათით განსხვავდება ტაძრის შენებელი მეფის გამოსახულებასთან არსებული წარწერის მსხვილი და დაბრაბისლური ასევე ასგან. დედოფლი მარიბისა და მისი ძის მანდატურთუხუცესის გიორგის გამოსახულებებთან არსებული წარწერით განისაზღვრება მესამე პერიოდი ტაძრის მოხატულობაში.

ის გარემოება, რომ ისეთივე დამახასიათებელი მოხაზულობის ქარაგმა, როგორც გარეულ წარწერაში, აღინიშნება „სამირეთის შესასვლელის სიღრმეში მოთავსებული პავლე მოციქულის გამოსახულების ქვემოთაც, მოწმობს, რომ დადიანთა გვარეულობის ქტიტორთა ჯგუფის წარწერის შემსრულებლის ხელის მონაშილეობა ტაძრის მოხატულობაში მბოლოდ ამ უკანასკნელით რადი განისაზღვრება (სურ. 9). დართული ცაბული (სურ. 10). შესაძლებ-

ლობას გვაძლევს დავუპირისპიროთ ერთმანეთს წერის განხილული მანერები, სურ. 11 კი გვიჩვენებს ბემის წარწერების ხასიათს.

ტაძრის კედლების მოხატულობაში სამი ქრონოლოგიური ეტაპის დაღვენის შემდეგ საჭიროა გავარკვიოთ მათი კავშირი ტეგლის ისტორიული ცხოვრების ამა თუ იმ მომენტებთან.

ბაგრატ III-ის სიცოცხლეში და, ისტორიული გადმოცემით, მის მიერვე აშენებული ტაძარი თავიდანვე აგებული ყოფილა იმ ანგარიშით, რომ მისი კედლები დაფარულიყო ფრესკული მოხატულობით. ამას მოწმობს კამარების წერილი, შედარებით დაუდევრად დამუშავებული ფილებით შესრულებული წყობა. აქედან ბუნებრივია ვიფაქტოროთ, რომ მოხატვის სამუშაოები უნდა დაწყებულიყო უმუალოდ სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. არ არსებობს არავათარი ობიექტური საფუძველი ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სამორეთის კედელზე წარმოდგენილი გამოსახულება მეფისა, რომელიც ღვთისმშებელს მიუძღვის ტაძრის მოდელს, და ქრიტორთა ჯგუფი მოპირდაპირე ჩრდილოეთის კედელზე ამ ხანას შეიკუთვნება. საქმაოდ მუქ, მონაცრისისფროლურჯ, შექისმაგვარად გაშლილ გრძელ, თავისუფალ და და დაუდევარი ნასმებით დადებულ არეზე შესრულებული ქრიტორთა გამოსახულებანი ჩრდილოეთის კედელზე—პაბუკი, ყრმა და, როგორც ჩანს, მანდილოსანიც გამოიჩინან სახის ძლიერ ნათელი და ნაზი ძირითადი ტონით; სახები სუსტად და რბილადაა მოდელირებული მსუბუქი შეჩრდილებით სახის კონტურიდან და ნაზი, ძირითადი ტონისაგან ონბავ გამოსაჩინები შეშუქებებით ნიკაპზე, წარბების ზემოთ, კისერზე. წერილი თეთრი (ან თითქმის თეთრი?) შეტრიხები ავსებენ სახეების მთლიანად უფრო გრაფიკულ, ვიდრე ცხოველხატულ დამუშავებას. უფროსი ქრიტორის სახის დასკრა და დაზიანება შესაძლებლობას არ იძლევა ვიმსჯელოთ მის შესრულებაზე; მეფის სახის ანალოგით, რომელიც ჩრდილოეთის კედელზე გამოსახული ააღვაზრდ ქრიტორების სახეებისგან გამოიჩინება უფრო თბილი და მკვრივი მოვარდისისფრო-ყვითელი ძირითადი ტონით და მათი მოდელირების ხერხის სრული იგივეობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც სახის ტონი უფრო მუქი იყო, ვიდრე ორივე პაბუკისა, და აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსხვავება სახეების ძირითადი ფენის ფერში გამოწვეულია არა ხატვის მანერის ან მოხატულობის ფენების სხვაობით, არამედ სურვილით გამომექავნებული იქნეს გამოსახულ პირთა ასაკობრივი დიფერენციალი. თეთრი სალებავით შესრულებული წარწერის შექრა ჩრდილოეთის კედლის ქრიტორთა კომპიზიციაში, ზემოთ ასნილი იყო როგორც განახლება, რომელსაც, თუ გავითვალისწინებთ ამ წარწერის ასოების სტილს და იმ გარემოებას, რომ იგი ემთხვევა სამირეთის კედელზე მედალიონებში წარმოდგენილი წმინდაების წარწერების ხასიათს, ადგილი ჰქონია უფრო გვიან ხანაში,—სახელდობრ იმ დროს, რომელსაც მიეკუთვნება როგორც წმინდანების ნახევარული გვარების მედალიონებში, ისე მათთან სტილის მარივ დაკავშირებული, ტაძრის კედლებზე შერჩენილი სხვა კომპოზიციებიც (უსინათლოს განკურება, საუბარი სამარიტელ დედაკაცთან, ძველი აღთქმის სამება, წმინდაების ფიგურები ტაძრის დასავლე-

თის კედელზე და სხვ.). როდის უნდა ჰქონოდა აღგილი მხატვრობით ტაძრის მეორედ შემკობას? პასუხი ამ კითხვაზე გამომდინარეობს ძეგლის არქიტექტურიდან. ბედის ტაძარი წარმოადგენს იშვიათ მაგალითს არქიტექტურული ობიექტისას, რომელმაც შეა საუკუნეებში კაპიტალური განახლება განიცადა: შისი ფასადები ხელახლა იქნა მოპირეობებული და შემცული ამ რემონტის შესრულების ხანის მხატვრულ მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე დროს ყოფილა აგებული ჩაქცეული გუმბათის მაგიერ ახალი. აღნიშნული გარემობა უდავო მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ნაგებობა ამ შეკეთებამდე. ტაძარს შემოძარული ჰქონდა ფასადების მოპირეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, არ ჰქონდა გუმბათი და, შესაძლოა, აგრეთვე ნაწილი კამარისა. მიტოვებული და გაპარტახებული ტაძარი ლია იყო უამინდობის დამაქცეველი გავლენისათვის, რამაც, უდავოდ, გამოიწვია მის კედლებზე არსებული მხატვრობის ძლიერი დაზიანება. ტაძრის განახლებული ნაწილებით, ე. ი. ფასადებითა და გუმბათით გამოიქვედავნებული მხატვრული ხერხები—ლიადების დეკორატიულ მოჩარჩინებათა სტრუქტურა, მათი პროფილირება, მოჩქურთმების შედგენილობა და სხვ. განსაზღვრავენ ტაძრის კაპიტალური შეკეთების დროს XIII ს. უკანასკნელი მეოთხედის—XVI ს. პირველი ნახევრის ხანით.

უკველვარ ეცვს გარეშეა, რომ არქიტექტურული ნაწილების განახლებასთან (ახალი გუმბათის აგება ძეგლის ნაზოგზე, კედლების ხელახლად მოპირეობება, შესასვლელების მორთვა და სხვ.) ერთდროულად ჩატარდა დიდი სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდნენ მოხატულობის ნაწილების შეცვებას. იმას, თუ რამდენად დიდი იყო ეს დანაკარგები, მოწმობს განახლებათა ფართო მასტრაბები: ძირითადი, XI ს. პირველი წლების მოხატულობა დღისთვის წარმოადგენილია მხოლოდ ქტიორითა პორტრეტებით ჩრდილოეთის კედლზე, მეფის გამოსახულებით სამირეთის კედლზე და წმინდანების გამოსახულებით საკურთხეველში. სამების სცენა წმინდანებს ზემოთ, სამზრეთისა და ჩრდილოეთის კედლების მოხატულობა გუმბათქვევმო სივრცეში, ქტიორითა გამოსახულებების ზემოთ, ფრესკები დასავლეთის კედლზე მიკუთვნება ტაძრის კაპიტალური შეკეთების დროს, ე. ი. XIII ს. დამლევს—XIV ს. პირველი ნახევრის ხანით.

მოხატულობაში მესამე ქრისტოლოგი ფერის არსებობა—დადიანების სავარეულოს ქტიორიების პორტრეტები და მხატვრობის ფრაგმენტები სამშრეო შესასვლელში. სამების სცენა წმინდანებს ზემოთ, სამზრეთისა და ჩრდილოეთის კედლების მოხატულობა გუმბათქვევმო სივრცეში, ქტიორითა გამოსახულებების ზემოთ, ფრესკები დასავლეთის კედლზე მიკუთვნება ტაძრის კაპიტალური შეკეთების დროს, ე. ი. XIII ს. დამლევს—XIV ს. პირველი ნახევრის.

როგორც აღნიშნული იყა, დედოფალ მარინის პორტრეტი ძითურთი ითიშება მხატვრობის განახლების დროის. კომპოზიციების წრიდან. ამას მოწმობს არა მაოლოდ გამოსახულებებთან არსებული წარწერების ასოების ხასიათი, არამედ ორივე პორტრეტის მხატვრობის ხასიათიც: ყრუ და უსიცოცხლის კანისფერი ტონები და სალებავები სამოსელში, სახეების ნახატის შესრულება კონტურით, მობლაგვო და ყრუ მიბაკისფერი სალებავით. მოხა-

ტულობის ამ ნაწილის წარმოქმნის დროის შესახებ ბუნებრივად წარმომდგარ საკითხის გადაჭრისათვის წარწერაში შენახული სახელები ძერტფასი გზამჯვლე-ვის მნიშვნელობას იღებენ. იმავე ნ. ტოლლაჩევსკაიას მოწმიათ, წარწერის წარწერის საუფლებელზე შ. ამირანაშვილი დადიანის საქტიტორო პორტრეტს მიაწერს ტაძრის მაატვრობის კაზიტალური განახლების დროს: „Присутствие на южной стене среди ктиторов нарины Марэх с малолетним сыном Георгием Дадиани, живших в 13 столетии (надписи, прочтенные III. Я. Амираншвили) подтверждает предположение, что в росписи были позднейшие привнесения“ (გვ. 8). ამ კომპლექსისათვის ეს თარიღი არ არის მისაღები. ჩვენ უკვე აღნიშნეთ განხილულ გამოსახულებებთან არსებული წარწერის სტილებრივი განსავავებები იმ წარწერებთან შედარებით, რომელიც მიე-კუთვნებიან მონაცემების შეკეთების დროს და მიყუთითეთ მის ერთგვარ დაკვეთების ხასიათზე. დამატებითი საბუთი ამ წარწერის და მასთან ერთად მისი თანმიმდევრი საქტიტორო გამოსახულების შესრულების დროის შესახებ უნდა მოინახოს ამ წარწერის საციფრაში: XIII—XIV საუკუნეების ჩევები-სათვის სიტყვათა შემოქლების თითქოს მიულებელ წესებში, ა (ა)-ს შეცვლაში ა (ც)-თი სიტყვაში „მადაცურთ“. ეს მოვლენა, ე. ი. ც (ა)-ს შეცვლა ა (ც)-თი დამათარილებელი გარემოების მნიშვნელობას იღებს, თუ გაიხსენებთ, რომ ოლინიშნული იყრის, ე. ი. ა-ს შეცვლა ა-თი ტექსტებში და წარწერებში სა-მარიანო ფართო გარეტყელდა XVI—XVII საუკუნეებში და ცალკეულ შემთხვე-ვებში აკვატებული განმეორების ხასიათიც კი მიიღო.

ეს გარემოება აუცილებელს ხდის წარწერაში დასახელებული ქტიტორები ვეძიოთ არა XIII ს.—XIV ს. დასაწყისში, არამედ XVI—XVII საუკუნეებში და ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გავაიგივეოთ ისინი ლევან I დადიანის (რო-მელიც ცხოვრობდა XVI საუკუნეში, გარდაიცვალა 1572 წ.) ცოლთან და მის ძე გოორგიისათან (შემდეგ გოორგი III-თან) ასევე განსაზღვრავს განხილულ გა-მოსახულებებს ბროსე და თავის დასკრინებს ამტკიცებს იმ წარწერაზე მითითე-ბით, რომელიც მოთავსებულია ტაძრის დასაცლეთი არსებულ საერო დანიშნუ-ლების შენობის შესახლელის თავზე. ამ წარწერაში მოხსენებულია პალატების აღმშენებელი (=რესტავრატორი) ბედიელი მიტროპოლიტი ანტონი ქვანის-ძე, —ისტორიული პირი, რომლის სახელი დაკავშირებულია ცაიშთან და ზუგ-დიდთან. ბროსეს განმარტების თანახმად, ანტონი ქვანისე იყო ლევან I-ის და მარიისის თანამედროვე, მეორე ისტორიული პირი კი იმავე ქვანისძეთა გვა-რიდან—კრისტე—ლევან I-ის ძის გოორგი III-ის თანამედროვეა [2].

ამრიგად, ფრესკულ გამოსახულებებთან არსებული წარწერების ანალი-ზით ჩვენ ვამტკიცებთ იმ დასკვნებს, რომელიც მიკვლეული იყო ბეჭისის ტაძრის მოხატულობის პირველი მკვლეერის ისტორიკოს მ. ბროსეს მიერ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ბეჭისის ინსტიტუტი

(რედაქციის მოვერდა 16.5.1956)

დამოწმებული ლიტერატურა

1. Н. И. Толмачевская. Фрески Грузии. т. 19, стр. 8.

2. M. F. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie SPB 1850.



მთ. რედაქტორის მოადგილე ი. გიგინე გიგილა

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 25.4.1957; შეკვ. № 478; ანაშილობის ზომა  $7 \times 11$ ;  
ქაღალდის ზომა  $70 \times 108$ ; სააღრიცხო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 8,4;  
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 10,9; უფ 01079; ტირაჟი 1000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობის სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 3/5  
Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР, ул. Ак. Церетели № 3/5



დ ა მ ტ კ 0 ც ე გ უ ლ ი  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მშპა-  
კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკვლე-  
ვების მთავრი შედეგები.

დებულება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ შესახმი

1. „მოამბის“ იძეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მშპა-  
კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკვლე-  
ვების მთავრი შედეგები.

2. „მოამბის“ ხელმძღვანელობს სარედაციით კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბის“ გამოდის ყოველთვიურად (თვის ბოლოს), ცალკე ნაკვეთებად, დააწლოებით 8  
ზეპლიტი (10 საალტიცხოვო-საგამოცემო) თაბაზის მოცულობით თითოეული. ყოველი ნახე.  
ვარი წლის ნაკვეთები (სულ 6 ნაკვეთი) შეაღებს ერთ ტომს.

4. წერილები იძეჭდება ქართულ ენაზე, იგივე წერილები იძეჭდება რუსულ ენაზე პარა-  
ლელურ გამოცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღმატებოდეს 8 გვერდს.  
არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები  
უშეულოდ გადაცემა დასაბეჭდად „მოამბის“ რედაქტორა; სხვა აეროების წერილები კი იძეჭ-  
დება მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ან წევრ-კორესპონდენტის წარმოდგენით.  
წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქტორი გადასცემს აკადემიის რომელიმე  
აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრად და, მისი დადგებითი შეკასების შემთხვე-  
ვაში, წარმოსადგენდა.

7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრძორის მიერ ორ-ორ ცალად  
თაორეულ ენაზე, სავსებით გამზღვებული დასაბეჭდად. ფორმულები მცავთ და უნდა იყოს ტექსტი-  
ში ჩაწერილი ხელით. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარ შესტორები-  
სა და დამატების შეტანა არ დაშევდა.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შეძლებისდა გვარად  
სრული: საჭიროა აღნიშნოს უტრანსის სახელწილები, ნიმერი სერიის, ტრმისა, ნაკვეთისა,  
გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულია წიგნის  
სრული სახელწილების, გამოცემის წლისა და აღილის მთავრება.

9. დამოწმებული ლიტერატურის დასახელება წერილს ბოლოში ერთვის სის სახით. ლი-  
ტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან უნივერგებში ნახევრები უნდა იქნეს ნომერი სის მა-  
ხედეთ, ჩასტულ კატეგორიულ დასახელებისას, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება  
რედაქტორი შემოსულის დღით.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ეტრამა სათანადო ენებზე უნდა აღნიშნოს დასახელება  
და აღიაღმდებარებად დაწესებულებისა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება  
რედაქტორი შემოსულის დღით.

11. ეტრას ეტრავა გვარებათ შეკრული ერთი კორექტორა მკაფრად განსაზღვრული  
ვადით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ორი დღისა), დადგინდილი ვადისთვის კორექტორის წარ-  
მოდგენლიბის შემთხვევაში რედაქტია უფლება ეჭვ შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან და-  
შეცდოს იგი იგრძორის ვიზის გარეშე.

12. ეტრორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 25-25 მონაცემებით ქართულ და რუსულ  
უნდებზე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ქიანისძიების მ., 8

ტელეფონი: 3-03-52

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, Т. XVIII, № 4, 1957

Основное, грузинское издание